სპორტიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 23 ივლისი 2008 №168 (3392) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე მერამდენე ვაი!

დინამომ ფარერეზზე სიხარული ჩაიტანა



ბაბრაი ჯელილოვის ფოტო

ლევან მჭედლიძე იუვენტუსის სამიზნეზე

5,5 მილიონი და, ქართველი ქალბატონისაა!

აი, ამბავი: საქართველოს ნაკრებისა და იტალიური „ემპოლის“ თავდამსხმელ ლევან მჭედლიძით თვით ტურინის „იუვენტუსი“ დაინტერესდა!

იტალიური „ლა სტამპა“ და სხვა ევროპული სააგენტოები გუშინ აჭრელებული იყო ამ ცნობით. ტურინელებმა „ემპოლისთან“ მოლაპარაკება დაიწყეს და, როგორც ჩანს, 18 წლის უნიჭიერესი ქართველი ფეხბურთელი სწორედ ამ გრანდში გააგრძელებს კარიერას.

თავად ლევანმა, რომელიც ახლა თბილისშია საბუთების მოსაგვარებლად ჩამოსული, გადაჭრით ვერაფერი გვითხრა. რამდენიმე ვარიანტი მაქვს და ამ დღეებში გირკვევა ყველაფერიო, თუმცა იტალიური პრესა ჯიუტად ამტკიცებს: მჭედლიძე თითქმის იუვენტუსელიაო.

შევიტყვეთ ისიც, რომ „ბებერი ქალბატონი“ ლონდონის „არსენალიდან“ ჰოლანდიელი რობინ ვან პერსის 16 მილიონ ევროდ შეძენას ლამობს და ამ ტრანსფერთან ერთად მჭედლიძის საქმესაც აკვარახჭინებსო. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, „იუვენტუსს“ ქართველის შეძენა დაახლოებით 5,5 მილიონი ევრო დაუჯდება.

აი, ასე სერიოზულადაა საქმე და იმედია, წინა სეზონში ტრავმებისგან გატანჯულ მჭედლიძეს ამჯერად მაინც დაეხმარება იღბალი და ასეთ სერიოზულ გუნდში გადასვლაში გარეშე პრობლემები არ შეექმნება...

ბაბა ზალამბერიძე

რიტორიკული შეკითხვა: რატომ წერენ ქართული კლუბები სხვების ისტორიებს და რატომ არ უფრთხილდებიან საკუთარს?

ჩემპიონთა ლიგა 2008-2009

CHAMPIONS LEAGUE

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

რა გჭირთ?!

ტორსპავნი. 22 ივლისი. 22 საათი. გუნდადალური

რუნავიკი 1:0 დინამო

1:0 პალგრიმ ელტორი (16)

რუნავიკი: კნუდსენი, პანდუროვიჩი, ო. პანსენი, დავიდსენი, ე. პანსენი, ლოკინი, სტანკოვიჩი, პეიჩიჩი (ს. იაკობსენი), დალბუდი (ა. ოლსენი), პალგრიმ ელტორი, პოტენკინი (ფ. იაკობსენი)	**დინამო:** ოვონო, შ. კაშია, გ. კაშია, ინწკირვეული, ნერგაძე, ოდიკაძე, ხმალაძე, დიღმელაშვილი, ფირცხალავა (კრშკო), გველესიანი (ჯიშკარიანი), ვანაძე (ქანთარია)
მწვრთნელი: პოლ პოულსენი	**მწვრთნელი:** რაინერ ცობელი

მსაჯები: ტ. ნიემინენი, მ. პოიკსელკა, ი. არავირტა, პ. პაიუნენი (ყველა ფინეთი)

დამკვირვებელი: ი. ბრაგა (ლიტვა);
უეფას დელეგატი: ა. ტიქტომბე (ინგლისი)

ხომ მაინც გავედით; მგზავრობამ ბიჭები გადაგვლალა; ცუდი ამინდი იყო; ბიჭებმა ძალები დაზოგეს და ტრავმებს მოერიდნენ; მსაჯი ჩვენს წინააღმდეგ ცდებოდა; „რუნავიკი" ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის...

დაბრუნდება თბილისის „დინამო" საქართველოში და შესაძლოა, მათგან ასეთი ან ამის მსგავსი ფრაზებით თავისმართლება მოვისმინოთ. ვითომ აქამდე არ მოგვისმენია, თუ რა?!

მაგრამ მაინც მაქვს იმედი, რომ არ მოვისმენთ — ბოლოს და ბოლოს, ოდესმე ხომ უნდა დასრულდეს გულშემატკივრის კიდევ უფრო გაღიზიანება ამგვარი არგუმენტებით?!

ფაქტი კი ის არის, რომ საქართველოს ჩემპიონმა ფარერული ბარიერი ოდენ ბურთების უკეთესი შეფარდებით (3:0, 0:1) გადალახა.

ისე, მეორე მხრივ, ძალიანაც არ უნდა განვიცადოთ დინამოელთა ეს მარცხი, როცა „ლოკომოტივის" ამბავი ჯერ არ გაცივებულა, ლუქსემბურგულ „ეტცელასთან" რომ გავარდა...

ბურთების უკეთესი შეფარდებით გასული „დინამო" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბერძნულ „პანათინაიკოსს" ხვდება.

უშუალოდ გუშინდელ მატჩზე კი, სიმართლე გითხრათ, დასაწერიც არაფერი გვაქვს.

ან რა უნდა დავწეროთ — რომელ წუთზე რომელი დინამოელი რომელი ფლანგიდან და ვისი პასით დაემუქრა მეტოქის კარს?

და ასეთი მიმოხილვის ბოლოს მივაწეროთ, ვაგლახ, ფორტუნამ „დინამოს" ზურგი აქცია და მე-16 წუთზე ფარერელ მოყვარულს გოლის გატანაში დაეხმარა-თქო?

მოდით, ამგვარი რამეების წერით კიდევ უფრო არ გაგაღიზიანებთ და თქვენს ყურადღებას ერთ საკითხზეღა შევაჩერებთ...

ამ ორიოდე კვირის წინ იყო, ევროთასებზე ქართული გუნდების სამარცხვინო ანგარიშებით წაგებული თამაშების ნუსხა რომ ჩამოვწერეთ. იმ ნუსხაში 0:7-ების გვერდით იმავ „დინამოს" ფრეც გვეწერა ლუქსემბურგულ „გრევენმახერთან" და ეს მიუხედავად იმისა, რომ ის ფრე „დინამოს" სავსებით ჰყოფნიდა მომდევნო ეტაპზე გასასვლელად.

„დინამოს" შარშანდელი ფრეც შეგვიძლია გავიხსენოთ ლიხტენშტაინურ „ვადუცთან" და „ვიტ ჯორჯიას" ფარერული მარცხიც „ტორსჰავნთან". ყველა ამ მატჩის ცუდად დამთავრების მიუხედავად, ქართული გუნდები მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. კი გავიდნენ, მაგრამ კითხვები დარჩა: რა ემართებათ ქართველებს პირველი მატჩის დიდი ანგარიშით მოგების მერე? როდემდე უნდა იყვნენ ასე არხეინად და მიზნად ისღა ჰქონდეთ, მთავარია, დიდი ანგარიშით არ წავაგოთო?

და თქვენ ფიქრობთ, რომ გუნდი, რომელიც ფარერებზე თუ ლუქსემბურგში მცირე ანგარიშით წასაგებად მიდის, ოდესმე დიდ მიზნებს შეეჭიდება?

რა, სულაც არ მიდის წასაგებად? მაშინ დამთხვევათა საოცარ ჯაჭვთან გვქონია საქმე.

ერთი მოგებული თამაშის მერე დაარხეინება და რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო, ძახილი, რაღაც ჩვენი ეროვნული თვისება მგონია. ალბათ ისტორიკოსებსაც უნდა დავეკითხოთ...

გიორგი დარჯანია

ბოლნისის სიონში დავითაშვილიც მივიდა

რას იზამს ქვაჩახია?

ბოლნისის „სიონი" აგრძელებს ურეკში მზადებას და მათ კიდევ ერთი ყოფილი ამერელი, თავდამსხმელი სულიკო დავითაშვილი შეუერთდათ.

როგორც „სიონის" გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა, დავითაშვილმა უკვე ივარჯიშა გუნდთან ერთად და ჩათვალეთ, რომ ამ სეზონში ჩვენთან იქნებაო.

შეგახსენებთ, ამ ბოლო დღეებში „სიონში" სამი ყოფილი ამერელი — ვლადიმერ კაკაშვილი, გივი დიდავა და არჩილ ალავიძე — მივიდა.

სანდო წყაროდან შევიტყვეთ, რომ არ არის გამორიცხული, უზბეკეთიდან გამობრუნებული ზურაბ ქვაჩახიაც ბოლნისურ გუნდში აღმოჩნდეს.

გუშინ საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალის წილისყრა მოეწყო და ბოლნისელებს მეტოქედ თბილისის „ნორჩი დინამო" ერგოთ. ჭიპაშვილის თქმით, ორივე მატჩი, სავარაუდოდ, თბილისში ჩატარდება, რადგან ბოლნისში „თემურ სტეფანიაზე" მინდვრის საფარი ალაგ-ალაგ გამოცვალეს და მის რეაბილიტაციას გარკვეული დრო ესაჭიროება.

ხვალ გრიგოლეთში „სიონი" ტესტ-მატჩს საჩხერის „ჩიხურასთან" გამართავს.

ნუკრი ლოლაძე

გრიშიკაშვილი მიკას გზაზე

სომხეთის ჩემპიონატში მოთამაშე ქართველებს კიდევ ერთი თანამემამულე შეემატათ — თბილისის „დინამოს" მეკარე სოსო გრიშიკაშვილი „მიკაში" გააგრძელებს კარიერას.

შეგახსენებთ, რომ „მიკას" მწვრთნელი ლევან ნოდიაა და ამ გუნდში ახლახან ექსვიტესორჯიელი თავდამსხმელი ზაზა სახოკია გადავიდა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ტენ კატე დინამოს სილვას უმზადებს

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს" გაცილებით რთული და ძლიერი მეტოქე ჰყავს — ბერძნული „პანათინაიკოსი".

ბერძნებს ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა აქვთ გადაწყვეტილი და შეძლებისდაგვარად აძლიერებენ გუნდს. ყველაზე ხმაურიანი შენაძენი კი ლონდონის „არსენალიდან" გადაბირებული ბრაზილიელი ჟილბერტო სილვაა, რომელიც საბერძნეთის ჩემპიონატის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია.

„სილვა საუცხოო ფეხბურთელია, რომელიც ჩვენს კლუბს გააძლიერებს და, ვფიქრობ, ლიდერადაც იქცევა. ამის მიუხედავად, მას ადაპტაციისთვის დრო მაინც სჭირდება" — განაცხადა „პანათინაიკოსის" მწვრთნელმა ჰენკ ტენ კატემ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ჩემპიონთა ლიგა 2008-2009

CHAMPIONS LEAGUE

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ვენტსპილსი (ლატვია) 4:0 ლანელი (უელსი) (0:1)
1:0 კოსმაჩოვსი (28), 2:0 რიმკუსი (29), 3:0 ბუტრიკსი (70), 4:0 რიმკუსი (76)

რაბოტნიჩკი (მაკედონია) 1:1 ინტერი (აზერბაიჯანი) (0:0)
1:0 ველკოსკი (46), 1:1 ჩერვენკა (75)

კაუნასი (ლიტვა) 3:1 სანტა კოლომა (ანდორა) (4:1)
1:0 პილიბაიტისი (15), 2:0 ზემლიკასი (20), 2:1 ურბანი (32პ), 3:1 პილიბაიტისი (90)

შერიფი (მოლდოვა) 4:0 აძტობე (ყაზახეთი) (0:1)
1:0 კუზუკი (65), 2:0 ალექსეევი (76), 3:0 ერიოხინი (78), პიკუშაკი (90)

ამხანაგური მატჩები

დუბლინი 1:1 მილუოლი	ბარტონი 1:3 ნოტინგემი
კატანია 3:1 ანგელანა	ჩესტერი 0:3 ჰალი
არმინია 0:2 ჰანზა	დანფერმლაინი 2:3 დანდი იუნ.
აინტრახტი 2:0 უიგანი	ჰერეფორდი 2:2 ბრისტოლი
ნიურნბერგი 1:0 სტოკი	ლუთონი 1:1 ლესტერი
სოფო 1:1 მეცი	პრესტონი 0:1 ევერტონი
ფეიეენოორდი 0:2 მალიორკა	შრიუსბერი 2:2 ვესტ ბრომვიჩი
ვიგორი 0:4 ლოკერენი	სოთპორტი 1:4 ტრანმერი
ვეენდამი 0:3 ტვენტე	უოლსოლი 2:3 ასტონ ვილა
ლიუბეკი 0:5 ჰამბურგი	ო. პაირატსი 0:1 მანჩესტერი
შაფჰაუზენი 2:2 ზანკტ პაული	რეძსემი 0:0 ძრიუ
ჰერტა 0:0 ლივერპული	ჰალადაში 1:1 არსენალი
ფალკენბერგი 0:3 ნორვიჩი	შალკე 4:1 ბაჰრეინი
გიმარაეში 1:2 კარდიფი	აიაჩო 1:1 ბასტია
კლაიდი 0:1 რეინჯერსი	უდინეზე 2:0 ფერეირა
იორკი 2:2 ბარნსლი	როტერჰემი 2:1 სკანთორპი
სედანი 1:0 ამიენი	დონსი 1:4 უენსდი

ისლანდია

I დივიზიონი. XII ტური

ფიოლნირი 3:4 თროტური
ფრამი 3:0 ფილკირი
გრინდავიკი 2:1 რეიკიავიკი



საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცის საკითხზე მნიშვნელოვანი სიახლე არაფერია, არის ოთხი კანდიდატი და 28 ივლისს ერთიღა დარჩება — ეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომზე გადაწყდება. სფფ-ის გენერალურ მდივან უჩა უგულავას თქმით, არგენტინელები, ექტორ რაულ კუპერი და ხოსე პეკერმანი პასუხს დღეს საღამოს იტყვიან...

არგენტინა დღეს გვიპასუხებს

უჩა უგულავა: ფინკელთან უკვე შევთანხმდით

— შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ან ფოლკერ ფინკე იქნება, ან ხოსე პეკერმანი და ან ექტორ რაულ კუპერი?

— პეტარ სეგრტიც ითვლება კანდიდატად. თუ რაღაც სასწაული არ მოხდა და მანამდე ვინმე ტოპ-მწვრთნელმა არ გამოთქვა ჩვენი ნაკრების გაწვრთნის სურვილი, ამ ოთხიდან დავასახელებთ ერთ-ერთს.

— კუპერთან და პეკერმანთან მოლაპარაკებები რა სტადიაშია?

— ფინანსური საკითხი მოგვარებულია. ახლა რაღაც დეტალებზეა ლაპარაკი და ამაზე ველით პასუხს.

— ფოლკერ ფინკემ რა მოთხოვნებიც წამოგიყენათ, მისაღებია თქვენთვის?

— დიახ.

— ოთხივე მწვრთნელთან შეთანხმებულია, რომ ერთი თანაშემწე ქართველი უნდა ჰყავდეთ?

— რა თქმა უნდა.

— და ეს უეჭველად შოთა არველაძე იქნება?

— უეჭველად არა, მაგრამ თითქმის გადაწყვეტილია.

ილია ნანოგაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის კლუბი ამერი
საქართველო, თბილისი 0177, ყაზბეგის 42ა, ბინა: 39/0938, ფაქსი: 94 33 00
E-mail: fcameri@caucasus.net www.fcameri.ge

№64/460 21 ივლისი, 2008

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას

გთხოვთ, მიიღოთ ცნობად, რომ ფკ ამერი ნებაყოფილებით ტოვებს უმაღლეს ლიგას და დამდეგ 2008-2009 წლების სეზონში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის აღმოსავლეთ ზონის გათამაშებაში.

მადლობას გიხდით ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და გამოვთქვამთ ჩვენს გულისტკივილს ამ გადაწყვეტილებით გამოწვეული უხერხულობის გამო.

პატივისცემით,
ვახტანგ ბზიაძე

გენერალური მენეჯერი

ქასრაშვილმა ყოფილი გუნდიც დაამარცხა


ხვიჩა ქასრაშვილი

გუშინ ურეკში რუსთავის „ოლიმპმა“ ტესტ-მატჩი გამართა საჩხერის „ჩიხურასთან“ და 2:1 მოიგო.

გეხსომებათ, რუსთაველთა მწვრთნელი ხვიჩა ქასრაშვილი ორი წლის წინ „ჩიხურას“ თავკაცობდა.

პირველმა ნახევარმა უგოლოდ ჩაიარა, თუმც მერე უმაღლესლიგელებმა იძალეს და ჯერ კოკა მიკუჩაძემ გაიტანა, მერე კი გიორგი ონიანმა შეაგდო პენალტი.

საჩხერელებმა მატჩის ბოლო წუთზე ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხეს — ეს იმედო ტყებუჩავამ გააკეთა.

ჩიხურა: დოლაძე, მაჭარაშვილი (ივანიშვილი 50), ზივზივაძე, ხვედელიძე, ტყებუჩავა, ზ. ნოზაძე (ცარციძე 82), ი. ჭიღლაძე (ჩიკვაიძე 70), როგავა (ი. ზაბახიძე 46), პეტრიაშვილი, მ. მიქაძე (ენუქიძე 86).

ოლიმპი: მერლანი, სეთურიძე, გ. ონიანი, მუნდუნგა, რეხვიაშვილი, ფეიქრიშვილი, გაბიდაური, ბაბუნაშვილი, გეწაძე (დობროვოლსკი 46), მიკუჩაძე, მეგრელაძე (გულიაშვილი 75).

ნუკრი ლოლაძე

გელაშვილმა ზესტაფონს ტესტ-მატჩი ჩაუშალა!

რა ღირს ბორჯომში თამაში?

„ზესტაფონი“ უეფას თასის საპასუხო მატჩისთვის ზესტაფონში ემზადება. იმერლებს გუშინ ბორჯომში ტესტ-მატჩი ჰქონდათ დაგეგმილი ახალციხის „მესხეთთან“. შეგახსენებთ, მათ უნგრულ „დიორ ეტოს“ 31 ივლისს უნდა უმასპინძლონ და ეს მატჩი სათამაშო პრაქტიკისთვის იქნებოდა სასარგებლო, მაგრამ ეს შეხვედრა არ შედგა და მიზეზს არ იკითხავთ? ზესტაფონელები მზად იყვნენ, ბორჯომის სტადიონი ორი საათით დაექირავებინათ და თანხაც გადაეხადათ, თუმც სტადიონის პატრონ დავით გელაშვილს იმხელა თანხა მოუთხოვია, იმერლების თქმით, ამ ფულით „ოლდ ტრაფორდს“ ვიქირავებდით მთელი დღეო.

აი, რას ამბობს „ზესტაფონის“ პრესსამსახურის უფროსი სერგო ფუტკარაძე: „რამდენიმე დღეში ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გველის „დიორ ეტოსთან“ და „მესხეთთან“ სპარინგ-მატჩი სასარგებლო იქნებოდა გუნდისთვის. თქმა რად უნდა, რომ სტადიონის იჯარაში ფულს ვიხდიდით, თუმც ჩვენდა გასაოცრად, დავით გელაშვილმა არარეალური თანხა მოითხოვა, რაც გულდასაწყვეტია. „ზესტაფონი“ უეფას თასზე საქართველოს სახელს იცავს და, ჩვენი ღრმა რწმენით, ყველა ქართველის ვალია, ასეთ საქმეში გუნდს მხარში ამოუდგეს. იმასაც დავამატებთ, რომ „ზესტაფონი“ ყოველთვის მზადაა, ნებისმიერ ქართულ კლუბს, რომელიც ევროთასებზე გამოდის, სტადიონი დაუთმოს“.

დაგვეთანხმებით, მართლაც, არასასიამოვნო და უცნაური ფაქტია.

რაც შეეხება გუნდის შემადგენლობას, ბრაზილიელმა ჟონატას ტორესმა და ახალწვეულმა ნიკა სტეფანიშვილმა ტრავმები მოიშუშეს და, სავარაუდოდ, „დიორ ეტოსთან“ მატჩისთვის მზად იქნებიან.

ნუკრი ლოლაძე

კესანი საქართველოში აღარ ჩამოვაო...


ბუსრან დულანგაშვილის ფოტო

არ ვიცით, სად გააგრძელებს კარიერას გაბონელი პოლ კესანი, თუმცა სანდო წყაროდან შევიტყვეთ, რომ იგი „ზესტაფონში“ თამაშს კატეგორიულად აღარ აპირებს. არადა, კესანს ფეროელებთან 2010 წლამდე აქვს კონტრაქტი.

გეცოდინებათ, გაბონელი ფეხბურთელი სამშობლოში იყო წასული და ნაკრებს ეხმარებოდა მუნდიალ-2010-ის შესარჩევ მატჩებში, თუმც საქართველოში ჯერაც არ დაბრუნებულა და „ზესტაფონი“ ჯერაც არკვევს, რაშია საქმე.

შევიტყვეთ, რომ კესანს უკეთესი კლუბის ვარიანტი აქვს, თანაც რეალური.

ილია ნანოგაშვილი

რა უთხრა ამერმა პროფლიგას?

საქართველოს თასის და სუპერთასის ორ-ორგზის მფლობელმა „ამერმა“ საკუთარი სურვილით რომ დატოვა უმაღლესი ლიგა და მომდევნო სეზონს პირველ ლიგაში გაატარებს, გეცოდინებათ.

გუშინ კი მოვიპოვეთ ის წერილი, რომელიც „ამერმა“ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში შეიტანა და ვფიქრობთ, ამ წერილის შინაარსის გაცნობა „სარბიელის“ მკითხველისთვისაც არ უნდა იყოს უინტერესო...

ლევან ყენიას გრიპი აღარ ავარჯიშებს

შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსთან“ ტესტ-მატჩის შემდეგ ლევან ყენიას „შალკეში“ აღარ უვარჯიშია.

საქმე ისაა, რომ 17 წლის ქართველი ნახევარმცველი შეუძლოდაა — გრიპი აქვს.

ამასობაში კი, გაირკვა, რომ „ხუმარები“ ხორვატი ივან რაკიტიჩის გაყიდვას დათანხმდნენ, რაც ყენიას ცოტა მიაახლოვებს შალკელთა ძირითადთან — რაკიტიჩი და ყენია თითქმის ერთი პოზიციის ფეხბურთელები არიან.

ილია ნანოგაშვილი

ბურდული შინიკის გარკვევას ელის



უკრაინის ჩემპიონატი ვლადიმერ ბურდულის გარეშე დაიწყო.

ბურდულმა ლუგანსკის „ზარიასთან“ კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა და, როგორც ჩანს, არა მარტო კლუბს, არამედ ქვეყანასაც შეიცვლის.

როგორც შევიტყვეთ, ბურდულით რუსეთის პრემიერლიგის გუნდი, იაროსლავლის „შინიკა“ დაინტერესებული.

„იაროსლავლში ალბათ მომავალ კვირაში ჩავალ. ჯერ მოლაპარაკებები მიმდინარეობს, უმნიშვნელო დეტალებიღაა მოსაგვარებელი“ — გვითხრა გუშინ ბურდულმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

დავით დევდარიანის ორჰუსი გადაიდო

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების და რუსთავის „ოლიმპის“ ნახევარმცველი დავით დევდარიანი, რომელიც დანიის სუპერლიგელ „ორჰუსში“ ისინჯებოდა, თბილისშია.

როგორც გაირკვა, „ორჰუსის“ მწვრთნელების აზრით, დევდარიანი ევროპულ დონეზე სათამაშოდ მზად ჯერ არ არის.

შესაძლოა, ახალგაზრდა ქართველი ნახევარმცველი „ორჰუსში“ მოგვიანებით ჩაირიცხოს, ამ ზაფხულს კი ეს გამორიცხულია.

ქახა შალამბერიძე



სეზონს თასი გახსნის

მეთექვსმეტედფინალის წილი ნაყარია

გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალური ეტაპის წილისყრა მოეწყო.

გუნდები აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად დაიყო. აღმოსავლეთის პირველ კალათში ესენი მოხვდნენ: რუსთავის „ოლიმპი“, თბილისის „ამერი“, ბოლნისის „სიონი“, თბილისის „ლოკომოტივი“, „გაგრა“ და თბილისის „მერანი“.

მეორეში: საჩხერის „ჩიხურა“, „დუშეთი“, „თბილისი“, თბილისის „ნორჩი დინამო“, თელავის „კახეთი“ და ლაგოდეხის „ჰერეთი“.

გუნდები ასე დაწყვილდნენ:

ოლიმპი — ჰერეთი
ამერი — კახეთი
სიონი — ნორჩი დინამო
ლოკომოტივი — დუშეთი
გაგრა — თბილისი
მერანი — ჩიხურა

დასავლეთის პირველი კალათა ასეთი გახლდათ: ახალციხის „მესხეთი“, ზუგდიდის „მგლები“, „ბორჯომი“, ცხინვალის „სპარტაკი“, „ჭიათურა“, ტყიბულის „მეშახტე“ და მარტვილის „მერანი“.

მეორე: ზუგდიდის „ბაია“, ფოთის „კოლხეთი“, „სამტრედია“, ქუთაისის „ტორპედო 2008“, ლანჩხუთის „გურია“ და ხობის „კოლხეთი“.

გუნდები ასე დაწყვილდნენ:

მესხეთი — კოლხეთი
მგლები — ბაია
ბორჯომი — სამტრედია
სპარტაკი — ოზურგეთი
ჭიათურა — ტორპედო 2008
მეშახტე — გურია
მერანი — ხობი

წყვილში პირველი ნომრები პირველ მატჩს შინ გამართავენ.

თამაშები 1 და 4 აგვისტოს გაიმართება, თუმცა ორი მატჩი 2 და 5 აგვისტოს ჩატარდება: „გაგრა“ — „თბილისი“ და „მესხეთი“ — „კოლხეთი“.

პირველი შეხვედრები 18 საათზე დაიწყება, საპასუხოები კი — 17-ზე.

შეგახსენებთ, რომ გუშინდელ წილისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ თბილისის „დინამოს“, „ზესტაფონსა“ და თბილისის „ვიტ ჯორჯიას“. ისინი ევროთასზე გამოდიან და მერვედფინალიდან ჩაერთვებიან გათამაშებაში.

მერვედფინალის წილისყრა 6 აგვისტოს 13 საათზე მოეწყობა საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში.

რაც შეეხება წყვილებს, დასავლეთ ზონაში ერთი ძალიან საინტერესო წყვილია — ორი ზუგდიდის გუნდი, „მგლები“ და „ბაია“ გაარკვევენ მერვედფინალისტის ვინაობას. ახლახან გამოჩეკილი გუნდების, „ჭიათურისა“ და „ტორპედო 2008“-ის მატჩიც საინტერესო უნდა გამოვიდეს.

რაც შეეხება აღმოსავლეთს, „ოლიმპს“ და „ამერს“ კახურ გუნდებთან მოუწევთ ბრძოლა და არა გვგონია, ეს ბარიერი ვერ დაძლიონ.

ნუკრი ლოლაძე



სტუკალოვმა გუნდი ნაადრევად შეკრიბა

ევრო 2009-ის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეტოქემ, რუსეთმა შეკრება მოაწყო — გუნდი ორი დღით ბორში მოემზადება ესპანეთსა და საქართველოსთან ჩასატარებელი ოფიციალური მატჩებისთვის.

„შეკრება უეფას ფანჯრით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ კლუბებმა მოგვცეს იმის საშუალება, რომ მნიშვნელოვანი მატჩებისთვის ნაკრები კარგად მომზადებულიყო“ — განაცხადა რუსთა თავკაცმა ბორის სტუკალოვმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ამისულაშვილი ნალჩიკის ისტორიაშიც ჩაეწერა

რუსული „სპორტ-ექსპრესის“ შეფასებით, ორი ქართველი ფეხბურთელი, დავით კვირკველია და ალექსანდრე ამისულაშვილი თავიანთ ნომინაციებში საუკეთესოთა შორის არიან — კვირკველია მარცხენა მცველებში მეხუთეა, იგივე ადგილი უკავია ამისულაშვილს ცენტრალურ მცველებში.

ერთიც: ამისულაშვილს ნალჩიკელთა შემადგენლობაში უკვე ექვსი გოლი მოუგროვდა და კლუბის ისტორიაში მესამეა სერგეი ფილიპჩუკისა (9) და რიკარდუ ჟეზუსის (7) შემდეგ, ამჟამად გუნდში მყოფ ფეხბურთელებს შორის კი პირველია.

მიხეილ ჟორჟოლიანი

საქართველო — რუმინეთი: ჯერ გლდანში, მერე გორში

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები 24 და 26 ივლისს რუმინელ თანატოლებს ამხანაგურად გაეჯიბრება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა დრო და სტადიონები, სადაც რუმინელებს ვუმასპინძლებთ.

პირველი მატჩი 24 ივლისს თბილისში „ამერის“ სტადიონზე, ხოლო მეორე — 26 ივლისს გორში გაიმართება.

ორივე მატჩი 18 საათზე დაიწყება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ჟოფნა თუ არჟოფნა?

ბათუმს და დილას ცოტას კიდევ დაელოდებიან...

გუშინ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის წილისყრა გაიმართა, რომელშიც არ მონაწილეობდნენ „ბათუმი“ და გორის „დილა“.

ამ გუნდებს პროფესიული ფეხბურთის ლიგისთვის წილისყრამდე უნდა ეცნობებინათ პასუხი, მიიღებდნენ თუ არა მონაწილეობას თასის გათამაშებაში, ან სულაც იარსებებდნენ თუ არა საერთოდ.

„ბათუმსა და გორში ჯერ კიდევ გაურკვევლობაა, გუშინდლამდე დადებითი პასუხი ვერ მოგვცეს, ამიტომ თასის გათამაშებაში მათი მონაწილეობა მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ და არც წილისყრაში მივაღებინეთ მონაწილეობა. გვეუბნებიან, რომ პირველ ლიგაში ითამაშებენ, თუმც გარანტიებს ჯერჯერობით ვერ იძლევიან. მალე კი პირველი ლიგის კალენდარი უნდა შედგეს და ჩვენც პასუხი გვჭირდება, რომელსაც ამ კვირაში დაველოდებით და იმის მიხედვით ვიმოქმედებთ“ — გვითხრა პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

დაჩიას მფლობელი ციხეში ჩასვეს

ქართველებზე ჯერ არაფერს ამბობენ, მაგრამ...

რაღაც ბნელი დღეები უდგას მოლდოვურ „დაჩიას“, სადაც ლევან ჯორღალიძე, ჯაბა დვალი და სერგი ორბელაძე თამაშობენ. ჯერ იყო და, ხმები დაირხა, ქართველი ლეგიონერები არალეგალურად იმყოფებიან მოლდოვაში და მათ ქვეყნიდან გააძევებენო, რაც ჯორღალიძემ ჩვენთან საუბარში გამორიცხა. ახლა კი „დაჩიას“ მფლობელი ციხეში ჩაუსვიათ. ლაპარაკია 30 წლის მილიონერ გაბრიელ სტატიზე. მას ხულიგნობას აბრალებენ. ერთი კვირის წინ სტატის მეგობარს, ვინმე ადან შიშხანოვს „ზიმბრუ“ — „დაჩიას“ მატჩისას გულშემატკივრებთან უჩხუბია და ოთ-



ხკლიტულში წაუყვანიათ.

სტატი მის გამოსაყვანად წასულა პოლიციაში, მაგრამ ვინ გამოატანდა, მილიონერსაც რაღაც ჩხუბი მოსვლია და სამი დღით დაუჭერიათ, ახლა კი პატიმრობა, სულ მცირე, 10 დღე მოუწევს.

„არაფერში ვარ დამნაშავე. ჩემს წინააღმდეგ მიზანმიმართულად იბრძვიან და მეთაური კიშინიოვის პოლიციის კომისარია. ჩემს კლუბ „დაჩიას“ წამდაუწუმ ამოწშებენ, რაღაცებს უხლართავენ და ეს ხდება ევროთასების დროს. მაინც არავის დავნებდები“ — თქვა სტატიმ.

მოკლედ, „დაჩიას“ საქმე ცუდადაა — ქართველ ლეგიონერებზე გავრცელებული ცნობაც სტატის დაჭერასთან უნდა იყოს გადახლართული.

ილია ნანობაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის განვითარების პროგრამა. კითხვარი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ერთობლივად მუშაობენ ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე. ჩვენი სურვილია, დაინტერესებულმა პირებმა მაქსიმალურად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. გამოთქვან საკუთარი აზრი და მსურველებმა წარმოადგინონ პროგრამის საკუთარი ვარიანტი.

ამასთან დაკავშირებთ, გთავაზობთ კითხვარს. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პროგრამისა და შენიშვნების ავტორს მოეთხოვება ახსნა:

1. რა არის მისი პროგრამის შექმნის მიზეზი და რა აუცილებელი პირობების შექმნაა საჭირო პროგრამის უზრუნველსაყოფად.

2. პროფესიულ საქმიანობაში რა კონკრეტული პრობლემა აწუხებს ყველაზე მეტად და რომელი მათგანის გადაჭრაა აუცილებელი.

3. კონკრეტულად რა არ აკმაყოფილებდა მოქმედ პროცესში. რა სურს შეცვალოს და როგორ?

4. პროგრამაზე მუშაობისას კონკრეტულად რა ახალი შედეგები იქნა მიღებული. რა მიზანი აქვს და რა შედეგს მოგვცემს მისი რეალიზაცია?

5. ფეხბურთის განვითარების მოცემულ ეტაპზე რომელ კონკრეტულ ამოცანას წყვეტს პროგრამა?

6. რომელი არატრადიციული ხერხები გამოიყენება პროგრამაში და როგორ?

7. რა კრიტერიუმით ხდება ფეხბურთელის განვითარების შეფასება? როგორია შეფასების ეს სისტემა?

8. რაში მდგომარეობს სიახლის თავისებურება და ორიგინალობა? რით განსხვავდება ის ძველისგან?

9. რომელ თეორიულ დებულებასა და სამეცნიერო-კვლევით შედეგებს ეყრდნობა საავტორო პროგრამა?

10. მიუთითეთ გამოყენებული ლიტერატურა.

გთხოვთ, თქვენი იდეები მოგვაწოდოთ ფეხბურთის ფედერაციაში ან გამოგვიგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე GFF@GFF.GE 2008 წლის 1 სექტემბრამდე.

ტერი ილვიძებს, ფეხი მიცურავს...

ჩემპიონთა ლიგის ფინალში აცილებული პენალტის გამო ჯონ ტერის ეშმაკ-ქაჯები კვლავაც ესიზმრება.

რომ გაეტანა, „ჩელსი“ თასს მოიგებდა, კაპიტანს კი ფეხი გაუცურდა და ბურთი კარს ააცილა. მერე იყო ცრემლები და ფანებისადმი საბოდიშო წერილი.

„ჩელსი“ აზიურ ტურნეშია, ტერი კი ამბობს, რომ ჯერაც ვერ გამოსულა იმ საშინელებიდან:

„ყოველ დილით გაღვიძებისთანავე ის პენალტი მახსენდება. ისე ვიყავი დათრგუნული, რომ ორი თვე გავიდა და თავიდან მაინც ვერაფრით ვერ ამოვიგდე. მაგრამ დიდი კაცი ვარ ძლიერი ნებისყოფით და ამას გავუმკლავდები. ფინალის შემდეგ სანაკრებო მატჩში გატანილმა გოლმა შვება მომგვარა და ძალიან დამეხმარა ტკივილის შემსუბუქებაში.

ლუიშ ფელიპე სკოლარის ხელში პრემიერლიგასაც თუ მოვიგებთ და ჩემპიონთა ლიგასაც, კოშმარიც საბოლოოდ მომშორდება“.

ხოლო ჩინეთში ჩასულმა „დიდმა ფილმა“ გაიხსენა: „ექვსი წლის წინაც აზიაში ვიყავი ბრაზილიის ნაკრებით და მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით. ვიმედოვნებ, რომ ეს ტურნეც, ჩემი ინგლისური კარიერის დასაწყისში იღბლიანი იქნება. მინდა, ყველა მატჩი მოვიგოთ, მათ შორის ამხანაგურიც“.

და ერთიც — „ჩელსი“ ცდილობს, „ბარსელონას“ ცხირწინ ააცალოს „ბეშიქთაშის“ 12 წლის ვუნდერკინდი იავრუ ქართალ მუჰამადი. ნიჭიერ ბავშვზე ევრობობოლები უკვე ნადირობენ და ამ ნადირობაში „ბარსა“ დაწინაურდა.

ვაჟა ხუციშვილი

რობინიო ოლიმპიადაზე არ იქნება

რობინიო პეკინის ოლიმპიადაზე ბრაზილიის ნაკრების ღირსებას არ დაიცავს. პეკინში მისი გამგზავრება თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ „რეალის“ ექიმების თქმით, რობინიოს საზარდულის ტრავმა აქვს და ოლიმპიადაზე მისი თამაში სასურველი არ არის.

მადრიდელებმა უკვე თხოვეს ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას რობინიოს ნაკრებიდან გათავისუფლება და იგი ავსტრიაში, კერძოდ, ირდინგში წაიყვანეს, სადაც „რეალი“ მოსამზადებელ პერიოდს გაივლის. ექსსანტოსელი კლუბის ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იქნება.

თავად რობინიომ კი სამეფო გუნდიდან შესაძლო წასვლა გამორიცხა და თქვა, გუნდში ვრჩები, ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებას ვმართავთო.

„აქ დარჩენა დიდი ხნით მინდ[illegible]რაზე ვესაუბრე კლუბის დირექტო[illegible] პრედრაგ მიატოვიჩს, ეს ჩვენი საქ[illegible]მეა. ვწუხვარ, რომ ოლიმპიადაზ[illegible] ბრაზილიის ღირსებას ვერ დავიცავ[illegible] მაგრამ ეს „რეალის“ გადაწყვეტილებაა, რომელსაც პატივს ვცემ“ — განაცხადა რობინიომ.

ბრაზილიელი სულ მალე ალბათ ახალ ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს მადრიდელებთან.

კოკი კანდელაკი

აბრამოვიჩი 0:0 გალიანი



„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ გაამხილა რომან აბრამოვიჩთან სტუმრობის დეტალები.

„ჩელსის“ პატრონის 300-მილიონდოლარიანი იახტა ერთი კვირის წინ პორტოფინოში, ხმელთაშუაზღვის პორტში ირწეოდა. იახტაზე კი ადრიანო გალიანი და რომან აბრმოვიჩი საუბრობდნენ.

ვიცემ მონაჩმახი უწოდა იმას, რომ „ჩელსიმ“ „მილანს“ ბრაზილიელში 120 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ დაადასტურა აბრამოვიჩისგან კაკას შეძენის სურვილი.

„ტყუილია, რომ „ჩელსი“ ან რომელიმე სხვა კლუბი ჩვენს ფეხბურთელში 120 მილიონს იხდის. აბრამოვიჩს ნამდვილად ვესტუმრე იახტაზე. შევჩენკოს ტრანსფერზე ვესაუბრე, მან კი სიტყვა კაკაზე ჩამომიგდო. შეხვედრა 0:0 დამთავრდა. მე უარი ვუთხარი ბრაზილიელზე, მან კი „შევას“ გაყიდვა იუარა.

ფულზე არ გვილაპარაკია. „მილანს“ და „ჩელსის“ კარგი ურთიერთობა აქვთ, მაგრამ ერთი ასეთი ვიზიტით იახტაზე ტრანსფერები არ კეთდება. ასჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ — კაკა არ იყიდება“.

გასულ შაბათს კი გალიანიმ იტალიურ მედიას განუცხადა, რომ „ჩელსიმ“ დიდი ფული შეაძლია „მილანს“ ბრაზილიელში და მაშინ ვიცემ თანხა არ დაასახელა. ახლა ამბობს, რომ აბრამოვიჩთან ფულზე არ ულაპარაკია.

კაკას წარმომადგენელმა დიოგო კოტშომ თქვაშ „ახლა სულ სხვა ვითარებაა. არსებობს შანსი, რომ „მილანი“ ფეხბურთელის გაყიდვაზე დათანხმდეს“.

„ჩელსის“ აღმასრულებელმა შეფმა პიტერ კინინმაც უარყო, რომ „მილანს“ კაკაში დიდი ფული შეაძლიეს.

„სანის“ ვარაუდით, იტალიური კლუბის შეფებში აზრი გაიყო. ერთნი ფიქრობენ, რომ დიდი თანხის სანაცვლოდ კაკას გაყიდვა ღირს, მეორენი კი უარობენ.

ვაჟა ხუციშვილი

10 ნომერი მესის

კატალონიური „ბარსელონა“ ამჟამად არგენტინის ფეხბურთის ფედერაციასა და ფიფასთან მოლაპარაკებას მართავს, რათა ლიონელ მესის ოლიმპიადაზე გაშვება-არგაშვების საკითხი გადაწყვიტოს. თავად ფეხბურთელს პეკინში გამგზავრება სურს, მაგრამ ოლიმპიადა ზუსტად ემთხვევა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპს და, ცხადია, „ბარსას“ სურს, რომ თავისი ლიდერი გუნდში ჰყავდეს.

„კამპ ნოუს“ ბინადართა ერთ-ერთი მმართველი რაფაელ იუესტე მიიჩნევს, რომ მესიზე ზოგიერთი ზედმეტი ზეწოლის მოხდენას ცდილობს და არჩევანის მშვიდად გაკეთების საშუალებას არ აძლევს. იუესტეს თქმით, ყველაფერი უახლოეს დეებში გაირკვევა, მაგრამ მას კონკრეტული თარიღი არ დაუსახელებია.

პარალელურად, „ბარსაში“ ახალი სეზონისთვის ნომრების განაწილებაზე დაიწყო ფიქრი. ფანებს ყველაზე მეტად აინტერესებთ, ვინ მოირგებს რონალდინიოს წასვლის მერე გათავისუფლებულ 10-ნომრიან მაისურას. ყველანაირი ლოგიკით, ეს მესი უნდა იყოს, მაგრამ ოფიციალური დასტური ჯერ არ ჩანს.

კატალონიელთა რიგებში ტრადიციაა, ახალი სეზონის წინ გუნდის ძველი მოთამაშეები, რომლებსაც ნომრების შეცვლა უნდათ, არჩევანს აკეთებენ, დარჩენილი ნომრები ახალწვეულებზე ნაწილდება, 10 ნომერი კი, როგორც წესი, ლიდერის უნდა იყოს.

ჟულიანუ ბელეტის წასვლის შემდეგ 2 ნომერს ალბათ ერიკ აბიდალი აიღებს. მისი ამჟამინდელი 22-ნომრიანი მაისურა კი ხერარდ პიკესთან გადავა. სავარაუდოდ, დანი ალვეში 11 ნომერი იქნება, კასერესი — 12, ხოლო კეიტა — 15. თუ „ბარსას“ ეიდურ გუდიონსენი დატოვებს, მისი 7-ნომრიანი მაისურა ალექსანდრ გლებთან გადაინაცვლებს.

სამუელ ეტოოს წასვლის შემთხვევაში კი 9 ნომერს ბოიან კრკიჩი დაეპატრონება. იგი კატალონიელთა ყველა ახალგაზრდულ გუნდში სწორედ ამ ნომრით თამაშობდა. თუ ეტოო დარჩება, კრკიჩი ალბათ 18 ნომერს აირჩევს.

კოკი კანდელაკი

არ მიჰქარო!

კრიშტიანუ რონალდუ და ალექს ფერგიუსონი

ალექს ფერგიუსონმა კრიშტიანუ რონალდუ გააფრთხილა, არ მიჰქარო და „რეალში“ არ გადახვიდეო.

„მანჩესტერის“ მწვრთნელს აქამდეც უთქვამს ფეხბურთელისთვის, რომ ოთხწლიანი კონტრაქტი უნდა ჩაარაკრაკოს და წასვლაზე მერე იფიქროს.

შოტლანდიელი ცდილობს, ბიჭი დაარწმუნოს, რომ წინა სეზონში „მანჩესტერში“ მოგებული ორი ჯილდოს კვალობაზე მადრიდის „რეალში“ გადასვლა სისულელეა.

ლოს ანჯელესში, ნაოპერაციები ფეხით მზეს მიფიცხებულმა რონალდუმ ოთხი დღის წინ წამოაყრანტალა: „მხოლოდ ღმერთმა უწყის, ისევ „მანჩესტერში“ ვითამაშებ თუ „რეალში“ გადავალ“.

ეს იყო პასუხი ალექს ფერგიუსონის ნათქვამზე, თითქოს რონალდუმ „მანჩესტერში“ დარჩენა არჩია და „რეალი“ აღარ ესიზმრება.

„პატარა ბიჭებს დიდი ფულით იოლად აბრუებენ, მაგრამ ჩემპიონთა თასის მოგების შემდეგ რონალდუ უბედნიერესი ადამიანი იყო — ბრძანა ფერგიუსონმა — ნამდვილად იცის, რომელია მისთვის ზედგამოჭრილი კლუბი — რა თქმა უნდა, „მანჩესტერ იუნაიტედი“.

თუ შვილი რჩევას გთხოვს, ცხადია, საუკეთესოს ურჩევ. უცუდესი, რაც შეიძლება რონალდუმ გააკეთოს, „რეალში“ გადასვლაა. 23 წლისაა და მსოფლიოს ტოპკლუბში თამაშობს, ფანტასტიკურ გუნდში.

მან შარშან ჩვენთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და კიდევ ოთხი წელი დარჩა. მისი ხელმოწერა კონტრაქტზე პირადად მაქვს ნანახი“.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ სამხრეთ აფრიკაშია და გუშინ დურბანში „ორლანდო პაირეთსს“ ეთამაშა.

ვაჟა ხუციშვილი

ემერტონს გაუხანგრძლივეს

პრემიერლიგის „ბლექბერნ როვერსმა“ ნახევარმცველ ბრეტ ემერტონს კონტრაქტი გაუხანგრძლივა. ავსტრალიელმა ახალი ოთხწლიანი ხელშეკრულება დადო, რომლის ძალით 29 წლის ფეხბურთელი 2012 წლამდე ინგლისურ კლუბში დარჩება.

ბრენდი იჯარით სუონსიში

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალგაზრდა თავდამსხმელი ფებიან ბრენდი კვლავ „სუონსი სიტიში“ იქნება განათხოვრებული. გასულ სეზონში ბრენდი უკვე გამოდიოდა არენდით უელსელთა შემადგენლობაში და ოთხი თვის განმავლობაში სამი გოლიც გაიტანა. ამჯერად იჯარის ვადა ექვს თვეს ითვალისწინებს.

მალიორკამ მარტი გაიფორმა

ესპანურმა „მალიორკამ“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ნახევარმცველ ხოსე ლუის მარტისთან. 2003 წელს მარტი „ტენერიფეედან“ „სევილიაში“ გადაბარგდა და ანდალუზიურ კლუბთან ერთად ორჯერ დაისაკუთრა უეფას თასი. გასული სეზონის მეორე ნახევარი კი 33 წლის ფეხბურთელმა იჯარის წესით იმავე „ტენერიფეში“ გაატარა.

იულიანოს ორწლიანი

იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ანტისადოპინგო კომისიამ მარკ იულიანოს, კოკაინის მოხმარებისთვის ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. იულიანოს, რომელიც სერია B-ს კლუბ „რავენაში“ ირიცხება, კოკაინის კვალი სისხლში ივნისში „ჩეზენასთან“ მატჩის შემდეგ აღებულ სინჯში აღმოუჩინეს. იულიანომ კარიერის საუკეთესო წლები ტურინის „იუვენტუსში“ გაატარა, რომლის რიგებშიც 1996-2005 წლებში 187 მატჩი ითამაშა და 7 გოლი გაიტანა.

1998-2002 წლებში იგი იტალიის ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდა და 19 შეხვედრაში მეტოქის კარი ერთხელ აიღო.

მონაკომ ადუ ინათხოვრა

ფრანგულმა „მონაკომ“ „ბენფიკადან“ იჯარით გადმოიყვანა აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების ნახევარმცველი, წარმოშობით განელი ფრედი ადუ. იჯარა ერთ წელზეა გათვალისწინებული, თუმც ვადის ამოწურვის შემდეგ მონეგასკებს ადუს საბოლოოდ დატოვება შეეძლებათ. 19 წლის ფეხბურთელი „ბენფიკას“ ერთი წლის წინ შეუერთდა და მხოლოდ ორჯერ გამოჩნდა სასტარტო შემადგენლობაში.

ვილნევი გალასზე ოცნებობს

პსვ-ს პრეზიდენტმა შარლო ვილნევმა აღიარა, რომ დიდი სიამოვნებით იხილავდა თავის კლუბში ლონდონის „არსენალის“ მცველ ვილიამ გალასს, თუმც ეს ტრანსფერი ნაკლებად სავარაუდოა, რადგან გალასი ლონდონში თავს კარგად გრძნობს და ალბათ არც „მოთოფველები“ შეელევიან გამოცდილ მცველს.

ჩელსიმ ეტოო გამორიცხა

ლონდონის „ჩელსიმ“ იუარა, რომ სამუელ ეტოოთია დაინტერესებული. ადრე ფეხბურთელი თავად საუბრობდა „ჩელსის“, „ტოტენჰემისა“ და „ინტერის“ შესაძლო ვარიანტებზე. ახლა 27 წლის კამერუნელი „ბარსელონასთან“ ერთად შოტლანდიაშია შეკრებაზე. შეგახსენებთ, რომ ამასწინათ ეტოომ ტაშკენტიც მოინახულა.

ალ ჯაზირადან ჰერენვენში

კოტ დივუარის ნაკრების წევრი ბონავენტურ კალუ „ჰერენვენში“ ჩაირიცხა აქამდე კალუ საემიროების „ალ ჯაზირაში“ გამოდიოდა და ჰოლანდიაში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადმობარგდა. ბონავენტური „ჩელსის“ თავდასხმელის, სალომონ კალუს უფროსი ძმა და 1997-2003 წლებში უკვე გამოდიოდა ჰოლანდიაში „ფეენორდის“ შემადგენლობაში. კალუს ასევე ფრანგულ კლუბებშიც — „ლილერში“, პსჟ-სა და „ლანსში“ — უთამაშია.

ტულუზმა ემანა გაყიდა

სევილიის „რეალ ბეტისმა“ ხუთწლიანი კონტრაქტი გაფორმა „ტულუზის“ მცველ ანილ ემანასთან. ამასთან, თუ კამერუნელი ამ სეზონში 25 თამაშზე მეტს ჩაატარებს, მას ხელშეკრულება კიდევ ერთი წლით ავტომატურად გაუხანგრძლივდება. ემანამ გასულ სეზონში „ტულუზის“ შემადგენლობაში 31 მატჩში 7 გოლი გაიტანა. ფრანგულმა კლუბმა კი მის სანაცვლოდ ექვსი მილიონი ევრო მიიღო.

ვალბუენას ოპერაცია გაუკეთეს

მარსელის „ოლიმპიკის“ ნახევარმცველი მატიე ვალბუენა, სავარაუდოდ, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრებში თავის კლუბს ვერ დეხმარება, რომლებიც 12 და 27 აგვისტოს გაიმართება. როგორც უეფას ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, ფეხბურთელმა ორშაბათს საზარდულის ოპერაცია გაიკეთა. რეაბილიტაცია დაახლოებით 6 კვირას გასტანს.

კლებერი სამოგლოში მიდის

ბრაზილიურმა „სან პაულომ“ ერთწლიანი იჯარით „ლიონის“ მცველი ანდერსონ კლებერი აიყვანა. გასულ სეზონში 23 წლის ბრაზილიელმა 12 მატჩი ჩატარა საფრანგეთის ჩემპიონების შემადგენლობაში და ერთი გოლიც შეაგდო.

არჩილ კოგანეიძე

რონალდინიო 80

იტალიური „მილანის“ ახალწვეულმა რონალდინიომ სათამაშო ნომრად 80 აირჩია და ყველა გააკვირვა.

მოგეხსენებათ, „როსონერიში“ 10 ნომერი კლარენს ზეედორფისაა და ჰოლანდიელმა მის დათმობაზე უარი განაცხადა. თავიდან ვარაუდობდნენ, ბრაზილიელი 20 ნომერს აიღებსო, მერე, ალბერტო ჯილარდინოს წასვლის შემდეგ, გათავისუფლებულ 11-სო, მაგრამ 28 წლის რონალდინიომ მოულოდნელი არჩევანი გააკეთა.

ყოფილი ბარსელონელი 1980 წელსაა დაბადებული და ეს ნომერიც ამიტომ ამოირჩია.

„მილანმა“ ბრაზილიელი ვარსკვლავის უკვე 11 ათასზე მეტი უბრალო მაისურა გაყიდა. ახლა კი ოფიციალური, 80-ნომრიანი მაისურებისგან სარეკორდო შემოსავალს ელის.

კოკი კანდელაკი

ლაციოს მაფია შეესია



როგორც გაირკვა, რომის „ლაციოს“ ყიდვა მაფიას სურდა. კამორას ანუ ნეაპოლური მაფიის კაზალუზის კლანი მესამე პირების მეშვეობით, ფარულად ცდილობდა „ბიანკოჩელესტის“ ხელში ჩაგდებას. მიზნის მისაღწევად ისინი დაშინებას, მუქარასა და სხვა არაკანონიერ ხერხებსაც მიმართავდნენ.

მაფიას ან, თუ გნებავთ, კამორას გეგმები პოლიციამ ჩაუშალა, რომლისთვის ყველაფერი ცნობილი გახდა. სამართალდამცავებმა რომში სპეცოპერაცია ჩაატარეს კოდური სახელწოდებით „მოტეხილი ფრთები“. პოლიციელებმა ათი პიროვნება დააკავეს, რომელთა შორის იტალიელების გარდა სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც არიან.

შეგახსენებთ, რომ ბოლო წლებში „ლაციო“ ძალიან ხშირად ეხვევა სხვადასხვა სახის სკანდალში.

2006 წელს კლუბის პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს პოლიციამ დაცვაც კი მიუჩინა მას მერე, რაც ფანებისგან მუქარის წერილები მიიღო. ლოტიტოს ბევრ მაქინაციაში ედება ბრალი, მათ შორის, კლუბის ყოფილ ფეხბურთელსა და მმართველ ჯორჯო კინალიასთან ერთად, კანონდარღვევით გაკეთებულ საქმეებში. სხვათა შორის, ამ საკითხზე გამოძიება გრძელდება. კინალიაც და ლოტიტოც ირწმუნებიან, სუფთები ვართო.

„ლაციო“ კი კვლავ ფინანსურ კრიზისშია. გასულ სეზონში გუნდი მე-12 ადგილზე გავიდა და „ბიანკოჩელესტის“ ლიდერებს შორის არც მომავალ სეზონში უნდა ველოდოთ.

გიორგი ძაძაბაძე

აკვილანის იუვე მოსწონს

იტალიის ნაკრებისა და „რომას“ ნახევარმცველ ალბერტო აკვილანის „იუვენტუსში“ გადასვლის შანსი მას მერე გაიზარდა, რაც ფეხბურთელმა განაცხადა, ტურინული კლუბი მომწონს და ჩემდამი ინტერესი მსიამოვნებსო. თანაც „ბებერ ქალბატონში“ აკვილანის ბავშვობის მეგობარი ჯორჯო კიელინი თამაშობს. მას ასევე ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს ჯანლუიჯი ბუფონთან.

„ტურინელთა ინტერესი მახარებს. ცოტა ხანი დავიცადით და ვნახოთ, როგორ დასრულდება ყველაფერი“ — თქვა აკვილანიმ.

„სტადიო ოლიმპიკოდან“ ახალგაზრდა ნახევარმცველის წასვლა რეალური ცოტა ხნის წინ გახდა, ის და „რომას“ ხელმძღვანელობა ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ შეთანხმდნენ.

„გლადიატორთა“ ერთ-ერთმა ლიდერმა დანიელე დე როსიმ კი აკვილანის მხარდაჭერა აღუთქვა: „რა არჩევანიც უნდა გააკეთოს ალბერტომ, პატივი უნდა ვცეთ და გაგებით მოვეკიდოთ. იგივე ეხება ამანტინო მანსინისა და ლუდოვიკ ჟიულისაც, რომლებიც წავიდნენ“.

ამასობაში „იუვეს“ ექსმცველი პაოლო მონტერო კლუბის უფროსობას რჩევებს აძლევს. ურუგვაელის აზრით, „ბიანკონერიმ“ „მილანსა“ და „ინტერს“ უნდა მიბაძოს და მეტი ლათინოამერიკელი ფეხბურთელი იყიდოს.

„გუნდის სპორტულ დირექტორ ალესიო სეკოს ვურჩიე, 19 წლის მატიას აგირეგარაი ეყიდა, რომელიც „პენიაროლში“ თამაშობს. შეცდომად მიმაჩნია ის, რომ „იუვემ“ „ფენერბაჰჩესგან“ დიეგო ლუგანო არ შეიძინა. რიცა ვუყურებთ ლათინოამერიკელთა წარმატებულ თამაშს „ინტერსა“ და „მილანში“, ნათელი ხდება, რომ ეს შეცდომა გახლდათ“ — აღნიშნა მონტერომ.

პარალელურად, „ბებერმა ქალბატონმა“ ვეტერანი მცველი ალესანდრო ბირინდელი „პიზაში“ გაუშვა. სხვათა შორის, პიზელებმა მის გარდა „ჯენოადან“ მატიას გაზერო დაიმატეს, „რომადან“ კი ადრიან პიტი და ლეანდრო გრეკო.

გიორგი ძაძაბაძე

მიდისარ თუ მოდისარ?

ფიფას ფაფა-აჯაფსანდალი

რაფინია

„შალკეს“ ბრაზილიელმა მცველმა რაფინიამ ვარჯიში ფეხებზე დაიკიდა და მწვრთნელის დაუკითხავად აიბარგა — ოლიმპიურ ნაკრებს ჩინეთში მიჰყვება.

კლუბის სურვილის საწინააღმდეგოდ, 22 წლის ფეხბურთელმა ოლიმპიადაზე თამაში გადაწყვიტა და „შალკესგან“ გვარიან ალიყურს აიკრავს, შეიძლება კონტრაქტიც კი გაუუქმონ, თუ პეკინში ნაკრების მაისურაში გამოწყობილი ნახეს.

„ხუმარების“ აზრით, ისინი ვალდებულნი არ არიან, ფეხბურთელი გაუშვან ტურნირზე, რომელიც ფიფას კალენდარში არ ზის.

მსოფლიო ფეხბურთის შეფებმა ცოტა ხნის წინ ბრძანეს, რომ ოლიმპიურ ნაკრებში გამოძახებული მოთამაშის გათავისუფლება სავალდებულოა. მოკლედ, დიდი არეულობაა.

გერმანიის ფეხბურთის ასოციაციის გენერელურმა მდივანმა ვოლფგანგ ნირსბახმა ბუნდესლიგის კლუბებს ორშაბათს უთხრა — ფიფადან დამირეკეს და შეგიძლიათ, ფეხბურთელები ოლიმპიადაზე არ გაუშვათო.

რაფინიამ კი ბარგი ჩაალაგა და ნაცვლად იმისა, რომ ავსტრიაში შეკრებაზე თანაგუნდელებთან ჩასულიყო, პარიზისკენ გაუტია. იქ მას ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრები ელოდა.

„შალკეს“ მენეჯერმა ანდრეას მიულერმა განაცხადა: „რაფინიას კვირას ტელეფონით ვესაუბრე და ვუთხარი, რომ ავსტრიაში მივემგზავრებით და მას ორშაბათს ველით. მან კი მიპასუხა, პარიზში მივდივარო. რა მექნა? ბორკილებით ხომ ვერ დავაბამდი?“

გერმანიის ფეხბურთის ლიგამ კი ბრძანა, რომ მოკვეთს ნებისმიერ ურჩ მოთამაშეს, რომელიც კლუბის საწინააღმდეგოდ წავა და ოლიმპიადაზე გაემგზავრება.

ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა თქვა, ფიფა დისკვალიფიკაციას გამოუწერს იმ ფეხბურთელს, რომელიც ნაკრებშია გამოძახებული და კლუბის ჭკუაზე გაივლის, ანუ პეკინში არ ჩავა.

გამოდის, რომ ოლიმპიადაზე წასვლის შემთხვევაში ფეხბურთელს კლუბი დასჯის, კლუბში დარჩენის შემთხვევაში კი ფიფა. ძალიან აჯაფსანდალი გააკეთეს ფიფამ და ოლიმპიურმა კომიტეტმა.

ბუნდესლიგის ახალბედა „ჰოფენჰაიმსაც“ მოუწია ნიგერიელი ჩინეთ-დუ ობასის გაშვება პეკინში. კლუბს ძალიან კი არ უნდოდა ფეხბურთელის წასვლა, მაგრამ ფიფასთან შარს მოერიდა. „ჰოფენჰაიმის“ მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა ირონიულად თქვა: „არ ვიცოდი, თუ ჟაკ როგი ფიფაში მუშაობდა“.

რაფინიამ კი „გლობოშპორტეს“ მოახსენა: „შალკეს“ პრეზიდენტი იოზეფ შნუსენბერგი არ მიშვებდა. მითხრა, რომ კლუბს ამის უფლება აქვს, მაგრამ როგორც ნაკრებში გამოძახებული, ვალდებული ვარ, გამოვცხადდე. გერმანიისთვის ოლიმპიადა მნიშვნელოვანი არაა, ბრაზილიას კი ოლიმპიური ოქრო არასოდეს მოუგია“.

ვაჟა ხუციშვილი

მეთოფეების ერთი ან ორი

სამირ ნასრი

ლონდონის „არსენალის“ მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა თქვა, გუნდის მინიმუმ ერთი გამოცდილი მოთამაშით გაძლიერებას ვაპირებ და შესაძლოა, ორი ფეხბურთელიც დავიმატოთო.

ამ ზაფხულს „მეთოფეებმა“ ოდენ აარონ რემსი და სამირ ნასრი შეიძინეს. გუნდიდან კი ჟილბერტუ სილვა, ალექსანდრ გლები და მატიე ფლამინი წავიდნენ.

ფრანგი სპეციალისტის აზრით, კიდევ ერთი ან ორი ფეხბურთელი საკმარისი იქნება მომავალ სეზონში ტიტულებისთვის საბრძოლველად. თუმცა“ ცხადია, კლუბს რამდენიმე ტრავმირებული მოთამაშე რაც შეიძლება მალე უნდა დაუბრუნდეს, რათა მოკლე სათადარიგოთა სკამით არ მოუწიოს სხვა გრანდებთან ჭიდილი.

„ერთ გამოცდილ ფეხბურთელს ვიყიდით. შესაძლოა, ორი მოთამაშე დავიმატოთ, მაგრამ ერთი ტრანსფერი აუცილებლად შედგება. თუმცა გვარებს ვერ დაგისახელებთ. სამაგიეროდ, გეტყვით, რომ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურად ვაგრძელებთ მუშაობას და რამდენიმე კანდიდატს ვაკვირდებით“ — თქვა ვენგერმა.

ის ერთი ახალწვეული, სავარაუდოდ, ნახევარმცველი უნდა იყოს, რადგან გამოცდილი ჟილბერტუს, გლებისა და ფლამინის წასვლით ლონდონელთა ნახევარდაცვის ცენტრი საგრძნობლად შესუსტდა.

„სამყარო სრულყოფილი არ არის — ამბობს ვენგერი — ფლამინი თავისუფალი აგენტი იყო და შეეძლო, სადაც უნდოდა, იქ წასულიყო. ჟილბერტუს 32 წლის ასაკში სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს და გლებმაც ძალიან მიმზიდველი წინადადება მიიღო. ასე რომ, სამი კარგი, გამოცდილი მოთამაშე დავკარგეთ, მაგრამ არანაკლებ მაღალი კლასის ფეხბურთელები დავიმატეთ და კიდევ დავიმატებთ. არც ის დაგავიწყდეთ, რომ გასულ სეზონში რობინ ვან პერსის ტრავმის გამო დაახლოებით ექვსი გაუცდა, ხოლო ტომაშ როსიცკის — ოთხი. მომავალი სეზონის დაწყებისთვის ორივე მათგანი მზად იქნება — განაცხადა ვენგერმა.

გიორგი კაკაბაძე

ურუგვაელი სამპდორიაში

ურუგვაელი ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი ბრუნო ფორნაროლი გენუის „სამპდორიაში“ ჩაირიცხა. მასზე ბევრი ევროპული კლუბი ნადირობდა, მათ შორის, „ლაციო“ „ნაპოლი“, პსვ და „ტოტენჰემი“, მაგრამ ფორნაროლი საბოლოოდ გენუაში აღმოჩნდა. ურუგვაელმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და მისი გადაბირება გენუელებს 2,4 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. ფორნაროლი „სამპდორიას“ უკვე მეოთხე შენაძენია ამ ზაფხულს, აქამდე „ბლუჩერკატიმ“ მარიუს სტანკევიჩიუსი, მარკო პადოლინო და დანიელე დესენა გაიფორმა.

ორი დავიდ ტრანსფერზე

ესპანური „ვალენსია“ ფინანსური პრობლემების გამო თავისი წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვას აპირებს. მათ შორის არიან ევროპის ჩემპიონატზე გაბრწყინებული დავიდ ვილია და დავიდ სილვა. ფინანსური სიძნელეები დაკავშირებულია წარუმატებელ გასულ სეზონთან, რომელიც „ღამურებმა“ მხოლოდ მე-10 საფეხურზე დაასრულეს და, შესაბამისად, ვერ ჩემპიონთა ლიგაში გააღწიეს. ამას ისიც დავუმატოთ, რომ კლუბს საკმაოდ დიდი თანხა აქვს გადასახდელი რონალდ კუმანისთვის, რომელიც „ვალენსიას“ გასულ სეზონში ედგა სათავეში.

როგორც ესპანური პრესა იუწყება, შესაძლოა, ვილია 40 მილიონ ევროდ გაიყიდოს, თან, რა თქმა უნდა, მას მსურველებიც ჰყავს მადრიდის „რეალისა“ და „ბარსელონას“ სახით. რაც შეეხება სილვას, 22 წლის ფეხბურთელით მადრიდის „ატლეტიკოა“ დაინტერესებული.

ბულარუზი შტუტგარტში გაუშვეს

ჰოლანდიის ნაკრების მცველი ჰალიდ ბულარუზი ბუნდესლიგის „შტუტგარტს“ შეუერთდება. 26 წლის ფეხბურთელი ლონდონის „ჩელსიში“ 2006 წელს გადავიდა, გასული სეზონი კი „სევილიაში“ იჯარით გაატარა.

„მადლობას ვუხდით ჰალიდს „ჩელსიში“ ყოფნის დროს გაწეული ამაგისთვის და ახალ კლუბში წარმატებას ვუსურვებთ“ — იუწყება „არისტოკრატთა“ ოფიციალური ვებგვერდი.

შეგახსენებთ, რომ ივნისში ბულარუზმა დიდი ტრაგედია გადაიტანა — ახალდაბადებული გოგონა გარდაეცვალა.

მილანს პანუჩი გააახსენდა

იტალიური პრესის ცნობით, რომაელი მცველით, ვეტერანი კრისტიან პანუჩით „მილანი“ დაინტერესდა. 35 წლის მცველს „ჯალოროსისთან“ კონტრაქტი 2009 წლის ივნისში ეწურება და, როგორც იტალიელი ჟურნალისტები იუწყებიან, პანუჩისთვის უკეთესი იქნება, მილანურ გრანდში გადაბარგდეს, სადაც მას დამატებით კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივებენ კონტრაქტს. 1993-1996 წლებში პანუჩის უკვე ჰქონდა „როსონერის“ მაისურით გამოსვლის სიამოვნება.

ჰალს ბაკლიც მოუნდა

როგორც ჩანს, პრემიერლიგის დებიუტანტ „ჰალ სიტის“ სერიოზული მიზნები აქვს ახალ სეზონში. ამ ზაფხულს რამდენიმე შენაძენის შემდეგ ამჯერად „ვეფხვები“ ბუნდესლიგის „დორტმუნდის“ თავდამსხმელი დელრონ ბაკლით არიან დაინტერესებულნი.

„ჩვენ უკვე გავუკეთეთ ოფიციალური შეთავაზება გერმანულ კლუბს და ვფიქრობ, მალე უშუალოდ ფეხბურთელთან დავიწყებთ მოლაპარაკებას“ — აღნიშნა კლუბის მენეჯერმა ფილ ბრაუნმა.

ლაციოს შენაძენები

რომის „ლაციომ“ ოფიციალურად გაიფორმა ფრანსელინო მატუზალემი და შტეფან ლიხტშტაინერი. შვეიცარიელმა მცველმა, რომელიც „ლაციოში“ ფრანგული „ლილიდან“ გადავიდა, კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 24 წლის ლიხტშტაინერმა „ლაზლის“ შემადგენლობაში 89 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა. რაც შეეხება მატუზსალემს, ბრაზილიელი გასულ სეონში „სარაგოსაში“ თამაშობდა და მუხლის ტრავმის გამო მხოლოდ 14-ჯერ მოახერხა მინდორზე გასვლა.

პოდოლსკი რჩება

მიუნხენის „ბაიერნის“ თავდამსხმელმა ლუკაშ პოდოლსკიმ, ბოლოს და ბოლოს, თვითონ განაცხადა, რომ მომავალ სეზონსაც ბავარიულ კლუბში გაატარებს. გერმანიის ნაკრების ფორვარდი უკმაყოფილო იყო, რადგან გუნდში ლუკა ტონის და მიროსლავ კლოზეს ყოფნის პირობებში სათადარიგოთა სკამზე უხდებოდა ჯდომა. პოდოლსკის ყოფილი კლუბი — „კიოლნი“ — დაჟინებით ეპატიჟებოდა თავის რიგებში, მაგრამ, როგორც თავად ლუკაშმა განაცხადა, მან მტკიცედ გადაწყვიტა „ბაიერნში“ დარჩენა.

ბურდისო ვერ გაიყვეს

„ფიორენტინასა“ და „ინტერს“ შორის ნიკოლას ბურდისის თაობაზე მოლაპარაკება გრძელდება. „ნერაძურის“ 10 მილიონი ევროს მიღება სურს ფეხბურთელის სანაცვლოდ, „ფიორენტინა“ კი 5 მილიონს ჩამოდის და დამატებით თავის ერთ-ერთ ფეხბურთელს, ლა კოსტასა და სანტანას შორის ერთ-ერთს სთავაზობს მილანელებს.

თუ ტრანსფერი შედგება, ფლორენციელთა მცველი დარიო დაინელი, სავარაუდოდ, „ჯენოაში“ გადაბარგდება.

არჩილ ძოგაძიძე

რეალმა ბრაზილიელ ვუნდერკინდს დაუმიზნა

მადრიდის „რეალმა“ თვალი დაადგა 16 წლის ბრაზილიელ ვუნდერკინდ ფელიპე კუტინიუს. ჭაბუკი მცველი „ვასკუ დე გამას“ აღსაზრდელია და ბრაზილიური ფეხბურთის ერთ-ერთ მთავარ იმედად ითვლება. „სამეფო კლუბი“ კი მასში 5 მილიონი ევროს გადახდას აპირებს.

შავიერმა ბექჰემი და გულიტი მიატოვა

პორტუგალიის ნაკრების ყოფილმა მცველმა აბელ შავიერმა ამერიკული მეოჯორ ლიგის კლუბი „ლოს ანჯელეს გელექსი“ დატოვა და თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო. 35 წლის შავიერი, სავარაუდოდ, რომელიმე ევროპულ კლუბში გადასვლას საზაფხულო ფანჯრის დახურვამდე მოასწრებს. შეგახსენებთ, რომ „გელექსის“ თავკაცი ჰოლანდიელი რუუდ გულიტია, ხოლო გუნდის მთავარი ვარსკვლავი — დეივიდ ბექჰემი.

კეჟმანი სატურნში?

თურქული „ფენერბაჰჩეს“ სერბი თავდამსხმელის მატეია კეჟმანის წარმომადგენლები მოლაპარაკებას რუსული პრემიერლიგის „სატურნთან“ მართავენ. აქამდე საუბრობდნენ, რომ 29 წლის კეჟმანი „ზენიტში“ ფათიჰ თექქეს სანაცვლოდ გადავიდოდა.

„სატურნს“ გერმანული „ნიურნბერგიდან“ იგორ საენკოს გადმოყვანაც სურს.

მალუდა თუ ბაპტიშტა?

იტალიურ „რომას“ „ჩელსის“ ნახევარმცველის ფლორან მალუდას გადაბირება სურს. ამ ზაფხულს „ჯალოროსიმ“ მხოლოდ იონ არნე როსე და სიმონე ლორია დაიმატა და ტიფოზები კლუბის ხელმძღვანელებისგან უფრო მეტს ელიან. თუ რომაელებს მალუდას თავის გუნდში ხილვა სურთ, მაშინ, სულ მცირე, 10 მილიონი გირვანქა უნდა გაიღონ ამ ტრანსფერისთვის. ამ შემთხვევაში კი „რეალიდან“ ჟულიუ ბაპტიშტას აყვანის საკითხი გამოირიცხება.

არჩილ კოგანიძე

ამბები ეროვნულიდან

ამ ზაფხულს „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავდამსხმელებზე პრემიერლიგაში დიდი ნადირობაა გამოცხადებული. დიმიტარ ბერბატოვი „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურს, ხოლო რობი კინი „ლივერპულის“ ინტერესების სფეროშია. სწორედ რობი კინზე გამოთქვა თავისი მოსაზრება მერსისაიდელთა ინგლისელმა ნახევარმცველმა ჯერმეინ პენანტმა.

„რობი დიდებული ფეხბურთელია. იგი შესანიშნავად მოქმედებს საჯარიმოს მისადგომებთან და შეტევების დასრულებაც ბრწყინვალედ ეხერხება“ — განაცხადა ჯერმეინმა.

მისი აზრით, რობი კინი და ფერნანდო ტორესი პრემიერლიგის თავდამსხმელთა საუკეთესო დუეტს შექმნიან.

პენანტმა საკუთარ თავზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ლივერპულის“ დატოვებას არ აპირებს. ამ ბოლო დროს გავრცელებული ხმებით, მის მომავალს „ბლეკბერნ როვერსს“ უკავშირებდნენ.

ამასობაში, „წითლების“ დამრიგებელი რაფაელ ბენიტესი, ეტყობა, „ლივერპულის“ „გაესპანურებას“ აპირებს. ამჯერად მისი მზერა „ესპანიოლის“ ნახევარმცველ ალბერტ რიერაზე შეჩერდა, რომელსაც აღარ სურს კატალონიური კლუბის შემადგენლობაში გამოსვლა.

„საკმაოდ კარგად ვიცნობ ინგლისურ ფეხბურთს“ — თქვა რიერამ, რომელმაც 2005-2006 წლების სეზონი იჯარით „მანჩესტერ სიტიში“ ჩაატარა“.

„თუ „ესპანიოლი“ ასეთ შეთავაზებას მიიღებს, არ მსურს ამ შანსის ხელიდან გაშვება, რადგან ასეთი შესაძლებლობები ყოველდღე არ ჩნდება“ — დაამატა ახალგაზრდა ფეხბურთელმა.

რაც შეეხება კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობას, ისინი არ ჩქარობენ და ყველაფრის კარგად აწონ-დაწონვას აპირებენ. „აუცილებელია ყველა ვარიანტის საგულდაგულოდ განხილვა, რის შემდეგაც მივიღებთ გადაწყვეტილებას“ — აღნიშნა „ესპანიოლის“ სპორტულმა დირექტორმა პაკო ერერამ.

არჩილ კოგანიძე

კარიბის ზღვის მეკობრეები: გაგო და გოგო

ფერნანდო გაგოს რონალდუ მესი ჰგონია

არგენტინის ნაკრებმა ოლიმპიადისთვის მზადება დაიწყო, ესპანური „ასის“ ჟურნალისტმა კი „რეალის“ არგენტინელი ნახევარმცველი ფერნანდო გაგო მოიხელთა და მოაყოლა, თუ როგორ გაატარა ახალგაზრდა არგენტინელმა ზაფხულის არდადეგები

— შვებულება დამთავრდა. როგორ დაისვენეთ?

— კარგად, ძალიან კარგად. ოჯახშიც საკმაო დრო გავატარე, მერე კი მეგობარ გოგოსთან ერთად ვიმოგზაურე და მზეზეც გავირუჯე.

— სად?

— კარიბის ზღვაზე და დაუვიწყარი მოგონებები გამომყვა. ვცდილობდი, თავიდან ამომეგდო მთელი გასული საფეხბურთო სეზონი.

— მადრიდში როდის დაბრუნდებით?

— ოლმპიადის დასრულების შემდეგ, ანუ ვიმედოვნებ, რომ არგენტინა ფინალში გავა. საუცხოო გუნდი გვყავს: მესი, აგერო, რიკელმე... ფავორიტებად ვითვლებით, მაგრამ ფავორიტობას გამარჯვებებით დამტკიცება სჭირდება. ჯგუფში აუცილებლად პირველი ადგილი უნდა დავიკავოთ და მერე უფრო გამოჩნდება ჩვენი შანსები.

— შვებულებისას სავარჯიშოდაც გეცალათ?

— თავიდან, ათი-თორმეტი დღის განმავლობაში არ მივარჯიშია, მერე კი დავიწყე. ახლა უკვე ნაკრებთან ვარ და ფორმაში მალე ჩავდგები. გუნდთან ერთად ვარჯიში სჯობს. ამჟამად ბუენოს აირესში, „ესეიესას“ ბაზაზე ვართ.

— „რეალის“ სეზონისწინა მზადებაზე რას იტყვით?

— ზედიზედ ორჯერ ჩემპიონობამ გუნდს სატაბილურობა და თავდაჯერებულობა მოუტანა. პირველად ჩემპიონატი უმძაფრეს ბრძოლაში მოვიგეთ და შარშანაც უმაღლესი კლასის ფეხბურთი ვაჩვენეთ. ბევრ მატჩში ვითამაშე და საკუთარი თავით კმაყოფილი ვარ.

— ქომაგები სათადარიგო ფეხბურთელად აღარ მიგიჩნევენ...

— მადრიდში ჩასვლისთანავე ვიცოდი, რომ შესაგუებლად ბევრი დრო არ მექნებოდა. სამშობლოსგან შორს, სხვა ცხოვრება მელოდა და ესპანურ ფეხბურთს მალე უნდა შეეჩვეოდი. საბედნიეროდ, მოვახერხე, ამ გარემოში თავი კომფორტულად ვიგრძენი და ალღო უცბად ავუღე.

— რა ისწავლეთ ამ ორ წელიწადში?

— ფეხბურთელი მთელი კარიერის განმავლობაში უნდა სწავლობდეს და მწვრთნელს და თანგუნდელებს ნდობა კარგი თამაშით დაუფასოს. ჩემთვის ყოველი ახალი კვირა გამოცდილების მიღების საშუალებაა.

— მწვრთნელი რომ არ შეიცვალა, ალბათ, ესეც კარგია...

— დიახ, ბერნდ შუსტერთან მეორე სეზონს გავატარებთ, მწვრთნელის შენარჩუნება გუნდისთვის მნიშვნელოვანია. მისით კმაყოფილები არიან. გარდა იმისა, რომ ჩემპიონები გავხდით, არცთუ იშვიათად საამო ფეხბურთს ვთამაშობდით, რაც „რეალისთვის“ მთავარია.

— „რეალის“ ქებით არ დიღალეთ?

— ჩვენ ხომ დიდი უპირატესობით ვლიდერობით ჩემპიონატში და მდევარი საგრძნობი სხვაობით ჩამოვიტოვეთ. განსაკუთრებით კი გადამწყვეტ მატჩებში ვითამაშეთ კარგად.

— რას ფიქრობთ რაფაელ ვან დერ ვაარტზე, რომელიც, შესაძლოა, თქვენი თანგუნდელი გახდეს?

— მის თამაში ბევრჯერ არ მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ მაღალი კლასის, საინტერესო ფეხბურთელია. რაკი „რეალს“ მისი შეძენა სურს, ეს თავისთავად მეტყველებს ვან დერ ვაარტის კარგ ფეხბურთელობაზე. უნდა გვახსოვდეს, რითია ძლიერი ამჟამინდელი „რეალი“ და მომავალ სეზონში ყველა ფრონტზე პირველობისთვის უნდა ვიბრძოლოთ. მისი ტრანსფერი ჩემი გასარჩევი არაა, მაგრამ თუ გადმოვა, სიხარულით შევხვდებით.

— კრიშტიანუ რონალდუსაც?

— საუცხოო მოთამაშეა და არაერთ გუნდს სურს მისი გადაბირება, მათ შორის „რეალსაც“, რაც საკმაოდ ლოგიკურია. არ ვიცი, რას აპირებს რონალდუ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მისთვის „რეალის“ კარი მუდამ ღია იქნება.

— რონალდუ ამჟამად საუკეთესო ფეხბურთელად მიგაჩნიათ?

— ჩემთვის საუკეთესო ლიონელ მესია, მისი სათამაშო ყაიდის, საუცხოო ფინტების და მატჩის ბედის გადაწყვეტის უნარის გამო. ძალიან ნიჭიერია და ფეხბურთით ცხოვრობს.

— ერთმა რეალელმა თქვა, რომ რონალდუს გადმოსვლა და სხვებთან შედარებით მისთვის დიდი ხელფასის დანიშვნა, დანარჩენ ფეხბურთელებზე ცუდად იმოქმედებსო...

— თუ ითამაშებს და მსუყე ჯამაგირსაც მოითხოვს, ამას ალბათ იმსახურებს კიდეც. ეს მხოლოდ მისალოცი ამბავია. ის ხომ მოედანზეც თავდაუზოგავია, მომთხოვნია საკუთარი თავის მიმართ. „რეალში“ ტყუილად არავის არაფერს აძლევენ. ყველამ საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს გუნდის გამარჯვებაში.

— ჩემპიონთა თასი მთავარი სამიზნე იქნება?

— „რეალი“ ყველა ტურნირის მოსაგებად იბრძვის, მაგრამ ეს ძალიან ძნელია. თუ ტრავმებმა გუნდი არ შეგვთხელა, ჩემპიონთა ლიგის ფინალში უნდა გავიდეთ. მთელ გუნდს სწყურია ეს ჯილდო და საამისოდ უკვე მზად ვართ. ნებისმიერი ქომაგის ოცნებაც ჩემპიონთა თასია და ამ მიზნისკენ უნდა ვიაროთ. ვიმედოვნებთ, რომ „რეალი“ ამ სეზონში თასს მეათედ მოიგებს.

— „ბარსელონა“ კი ძლიერდება...

— „ბარსელონა“ მარად იქნება „რეალის“ უპირველესი მეტოქე, მაგრამ მისი ახალშეძენილი ფეხბურთელების ძალა მოედანზე გამოჩნდება. მთავარია, რომ მე „რეალის“ გამო მშვიდად ვარ და ჯერჯერობით მთავარ ფეხბურთელებს ვინარჩუნებთ. როცა ბევრი ფეხბურთელის ყიდვა რა გიწევს, ეს ნიშნავს, რომ გუნდი სტაბილურია და ერთი და იმავე შემადგენლობით ხშირად თამაშს კი უკეთესობა მოაქვს.

— რომელი რეალელი გაიბრწყინებს მომავალ სეზონში?

— ვერ გეტყვით, მაგრამ რაული, გუტი, ვან ნისტელროი და კასილიასი კვლავაც მაღალ დონეზე ითამაშებენენ და კიდევ ერთ კარგ სეზონს ჩაატარებენ.

— ესპანეთის ნაკრებზე რას იტყვით?

— ევროპის ჩემპიონატის ფინალი ვნახე და სერხიო რამოსის და იკერ კასილიასის გამარჯვება განსაკუთრებით გამიხარდა. ესპანეთმა შესანიშნავად ითამაშა და კიდეც ეკუთვნოდა ჩემპიონობა.

ადრე თუ გვიან, ეს უნდა მომხდარიყო, რადგან ესპანელებს ბევრი ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავთ.

— პირადად თქვენი მიზანი მომავალ სეზონში...

— გავაგრძელო პროფესიული ზრდა და რაც შეიძლება ბევრ მატჩში ვითამაშო. მჯერა, რომ გუნდი კიდევ ბევრ ჯილდოს მოიგებს და ვგრძნობ, რომ ძალიან საინტერესო სეზონი გველის

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		23 ივლისი						
21:30	20	შტურმი-მატერსბურგი	1.80	3.30	3.85	1.16	1.22	1.77
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		23 ივლისი						
21:45	61	ბაზელი-გრასჰოპერი	1.60	3.30	5.20	1.07	1.22	2.01
21:45	62	ბელინცონა-ქსამაქსი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
21:45	63	ციურიხი-ლუცერნი	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
		24 ივლისი						
21:45	64	ხიონი-იანგ ბოიზი	2.75	3.20	2.40	1.47	1.28	1.37
21:45	65	ვადუცი-აარაუ	2.40	3.10	2.80	1.35	1.29	1.47
		რუსეთი. პრემიერლიგა						
		23 ივლისი						
19:00	22	სატურნი-შინიკი	1.60	3.40	5.70	1.08	1.24	2.12
19:00	78	ზენიტი-ლოკომოტივი	1.75	3.30	4.60	1.14	1.26	1.92
		დანია. სუპერლიგა						
		23 ივლისი						
21:00	212	ვეილე-ოდენსე	4.00	3.40	1.80	1.83	1.24	1.17
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		23 ივლისი						
21:00	106	ვიინგი-რუსენბორგი	2.15	3.40	3.10	1.31	1.26	1.62
		შვედეთი. ალსვენსკა						
		23 ივლისი						
21:00	125	ელფსბორგი-ნორჩიოპინგი	1.35	4.20	9.00	1.02	1.17	2.86
		ბრაზილია. ჩემპიონატი						
		24 ივლისი						
01:50	180	კურიტიბა-იპატინგა	1.45	3.70	6.30	1.04	1.17	2.33
03:30	181	ვიტორია-ნაუტიკო	1.60	3.40	5.10	1.08	1.21	2.03
04:45	182	ინტერნასიონალი-სან პაულუ	2.30	3.00	2.90	1.30	1.28	1.47
04:45	183	ბოტაფოგო-ატლეტიკო მნ	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
04:45	184	პორტუგესა-ფლამენგო	2.80	3.10	2.30	1.47	1.26	1.32
04:45	185	ვასკუ და გამა-ფლუმინენსე	2.55	3.10	2.55	1.39	1.27	1.39
01:50	186	კრუზეირო-გოიასი	1.40	3.90	6.60	1.03	1.15	2.45
		25 ივლისი						
03:30	187	პალმეირასი-სანტოსი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
03:30	188	ფიგეირენსე-გრემიო	2.25	3.10	2.90	1.30	1.26	1.49
03:30	189	სპორტ რიხიფე-ატლეტიკო პრ	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
		უეფა. ჩემპიონთა ლიგა						
		23 ივლისი						
17:30	7	პიუნიკი-ანორთოსისი	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
19:30	8	ლევადია-დროგედა	1.90	3.30	3.55	1.20	1.23	1.71
22:00	9	ბუდუჩნოსტი-ტამპერე	1.80	3.40	3.75	1.17	1.21	1.78
22:00	10	მოდრიჩი-დინამო ტირ	2.10	3.20	2.90	1.26	1.21	1.52
22:00	11	გოტენბორგი-მურატა	1.03	9.00	28.00	1.00	1.00	6.81
22:15	13	პეტრჟალკა-ვალეტა	1.07	7.50	16.00	1.00	1.00	5.10
22:45	15	დინამო ზაგ-ლინფილდი	1.07	7.50	16.00	1.00	1.00	5.10
22:45	17	დიმიტალე-დუდელანჟი	1.10	7.00	15.00	1.00	1.02	4.77
23:15	19	ვალური-ბატე	2.45	3.30	2.45	1.40	1.22	1.40
		საერთაშორისო. ამხანაგური მატჩები						
		23 ივლისი						
23:55	236	ხეტუბალი-სანდერლენდი ნ	2.30	3.40	2.60	1.37	1.22	1.47
		უეფა. ევროპის ჩემპიონატი 19						
		23 ივლისი						
22:15	213	ჩეხეთი19-გერმანია19	4.10	3.20	1.80	1.79	1.25	1.15
19:30	214	იტალია19-უნგრეთი19	1.70	3.40	4.25	1.13	1.21	1.88
		გერმანია. ხუპერ თასი						
		23 ივლისი						
22:30	21	დორტმუნდი-ბაიერნი	3.50	3.20	2.00	1.67	1.27	1.23
		ნორვეგია. თასი						
		23 ივლისი						
21:00	23	მოლდე-ბრანი	2.40	3.20	2.55	1.37	1.23	1.41
		24 ივლისი						
21:00	24	ტრომსიო-ვოლეერენგა	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10007	პიუნიკი-ანორთოსისი	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10008	ლევადია-დროგედა	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10009	ბუდუჩნოსტი-ტამპერე	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10019	ვალური-ბატე	2.85	2.00	3.10	1.17	1.48	1.21
10020	შტურმი-მატერსბურგი	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10021	დორტმუნდი-ბაიერნი	3.90	2.00	2.25	1.32	1.42	1.05
10022	სატურნი-შინიკი	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10023	მოლდე-ბრანი	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10061	ბაზელი-გრასჰოპერი	1.90	2.10	5.80	1.00	1.43	1.54
10062	ბელინცონა-ქსამაქსი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10063	ციურიხი-ლუცერნი	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60
10078	ზენიტი-ლოკომოტივი	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10212	ვეილე-ოდენსე	4.40	2.00	2.20	1.37	1.46	1.04
10213	ჩეხეთი19-გერმანია19	3.70	2.00	2.40	1.29	1.45	1.09
10214	იტალია19-უნგრეთი19	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37
10024	ტრომსიო-ვოლეერენგა	2.60	2.00	3.50	1.13	1.49	1.27
10064	ხიონი-იანგ ბოიზი	3.15	2.00	2.80	1.22	1.48	1.16
10065	ვადუცი-აარაუ	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11007	პიუნიკი-ანორთოსისი	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11008	ლევადია-დროგედა	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11009	ბუდუჩნოსტი-ტამპერე	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11019	ვალური-ბატე	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11020	შტურმი-მატერსბურგი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11021	დორტმუნდი-ბაიერნი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11022	სატურნი-შინიკი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11023	მოლდე-ბრანი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11061	ბაზელი-გრასჰოპერი	2.05	10.00	20.00	3.80	4.50	9.00	20.00	10.00	10.00
11062	ბელინცონა-ქსამაქსი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11063	ციურიხი-ლუცერნი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11078	ზენიტი-ლოკომოტივი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11212	ვეილე-ოდენსე	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60
11213	ჩეხეთი19-გერმანია19	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11214	იტალია19-უნგრეთი19	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11024	ტრომსიო-ვოლეერენგა	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11064	ხიონი-იანგ ბოიზი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11065	ვადუცი-აარაუ	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00

გოლი:ყველი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ყველად)

17007	პიუნიკი-ანორთოსისი	1.85	1.95
17008	ლევადია-დროგედა	1.85	1.95
17009	ბუდუჩნოსტი-ტამპერე	1.85	1.95
17019	ვალური-ბატე	1.85	1.95
17020	შტურმი-მატერსბურგი	1.85	1.95
17021	დორტმუნდი-ბაიერნი	1.85	1.95
17022	სატურნი-შინიკი	1.85	1.95
17023	მოლდე-ბრანი	1.85	1.95
17061	ბაზელი-გრასჰოპერი	1.85	1.95
17062	ბელინცონა-ქსამაქსი	1.85	1.95
17063	ციურიხი-ლუცერნი	1.85	1.95
17078	ზენიტი-ლოკომოტივი	1.85	1.95
17212	ვეილე-ოდენსე	1.85	1.95
17213	ჩეხეთი19-გერმანია19	1.85	1.95
17214	იტალია19-უნგრეთი19	1.85	1.95
17024	ტრომსიო-ვოლეერენგა	1.85	1.95
17064	ხიონი-იანგ ბოიზი	1.85	1.95
17065	ვადუცი-აარაუ	1.85	1.95

რომელი ბუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14007	პიუნიკი-ანორთოსისი	2.10	1.75
14008	ლევადია-დროგედა	1.70	2.20
14009	ბუდუჩნოსტი-ტამპერე	1.45	2.40
14019	ვალური-ბატე	1.85	1.95
14020	შტურმი-მატერსბურგი	1.45	2.40
14021	დორტმუნდი-ბაიერნი	2.20	1.70
14022	სატურნი-შინიკი	1.30	2.50
14023	მოლდე-ბრანი	1.85	1.95
14061	ბაზელი-გრასჰოპერი	1.30	2.50
14062	ბელინცონა-ქსამაქსი	1.80	2.00
14063	ციურიხი-ლუცერნი	1.20	2.60
14078	ზენიტი-ლოკომოტივი	1.45	2.40
14212	ვეილე-ოდენსე	2.30	1.65
14213	ჩეხეთი19-გერმანია19	2.10	1.75
14214	იტალია19-უნგრეთი19	1.65	2.30
14024	ტრომსიო-ვოლეერენგა	1.80	2.00
14064	ხიონი-იანგ ბოიზი	1.95	1.85
14065	ვადუცი-აარაუ	1.85	1.95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15007	პიუნიკი-ანორთოსისი	3.00	2.80	2.00
15008	ლევადია-დროგედა	3.00	2.80	2.00
15009	ბუდუჩნოსტი-ტამპერე	3.00	2.80	2.00
15019	ვალური-ბატე	3.00	2.80	2.00
15020	შტურმი-მატერსბურგი	3.00	2.80	2.00
15021	დორტმუნდი-ბაიერნი	3.00	2.80	2.00
15022	სატურნი-შინიკი	3.00	2.80	2.00
15023	მოლდე-ბრანი	3.00	2.80	2.00
15061	ბაზელი-გრასჰოპერი	3.00	2.80	2.00
15062	ბელინცონა-ქსამაქსი	3.00	2.80	2.00
15063	ციურიხი-ლუცერნი	3.00	2.80	2.00
15078	ზენიტი-ლოკომოტივი	3.00	2.80	2.00
15212	ვეილე-ოდენსე	3.00	2.80	2.00
15213	ჩეხეთი19-გერმანია19	3.00	2.80	2.00
15214	იტალია19-უნგრეთი19	3.00	2.80	2.00
15024	ტრომსიო-ვოლეერენგა	3.00	2.80	2.00
15064	ხიონი-იანგ ბოიზი	3.00	2.80	2.00
15065	ვადუცი-აარაუ	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16007	პიუნიკი-ანორთოსისი	2.10	1.60
16008	ლევადია-დროგედა	1.34	2.80
16009	ბუდუჩნოსტი-ტამპერე	1.25	3.40
16019	ვალური-ბატე	1.75	1.85
16020	შტურმი-მატერსბურგი	1.25	3.40
16021	დორტმუნდი-ბაიერნი	2.40	1.45
16022	სატურნი-შინიკი	1.22	3.40
16023	მოლდე-ბრანი	1.70	1.95
16061	ბაზელი-გრასჰოპერი	1.14	4.70
16062	ბელინცონა-ქსამაქსი	1.62	2.05
16063	ციურიხი-ლუცერნი	1.12	4.60
16078	ზენიტი-ლოკომოტივი	1.25	3.40
16212	ვეილე-ოდენსე	2.90	1.32
16213	ჩეხეთი19-გერმანია19	2.30	1.48
16214	იტალია19-უნგრეთი19	1.32	3.00
16024	ტრომსიო-ვოლეერენგა	1.55	2.20
16064	ხიონი-იანგ ბოიზი	1.95	1.65
16065	ვადუცი-აარაუ	1.70	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

			ნაკ.	მეტ.
12008	ლევადია-დროგედა	2,5	1.60	2.00
12009	ბუდუჩნოსტი-ტამპერე	2,5	1.70	1.80
12019	ვალური-ბატე	2,5	1.70	1.90
12020	შტურმი-მატერსბურგი	2,5	1.90	1.70
12021	დორტმუნდი-ბაიერნი	2,5	2.00	1.60
12022	სატურნი-შინიკი	2,5	1.70	1.90
12023	მოლდე-ბრანი	2,5	2.00	1.60
12061	ბაზელი-გრასჰოპერი	2,5	2.00	1.60
12062	ბელინცონა-ქსამაქსი	2,5	2.00	1.60
12063	ციურიხი-ლუცერნი	2,5	2.20	1.50
12078	ზენიტი-ლოკომოტივი	2,5	1.70	1.90
12213	ჩეხეთი19-გერმანია19	2,5	1.70	1.90
12214	იტალია19-უნგრეთი19	2,5	1.70	1.90
12024	ტრომსიო-ვოლეერენგა	2,5	2.00	1.60
12064	ხიონი-იანგ ბოიზი	2,5	2.00	1.60
12065	ვადუცი-აარაუ	2,5	2.00	1.60

შესაძლო ცვლილებები დაზუსტეთ ადგილზე

ქართველი კაცის რწმენა და იმედი

გიორგი გოგშელიძის ბინა პრეზიდენტსაც გაახსენდა

ქართველმა ოლიმპიელებმა ფიცი დადეს, საქართველოს პრეზიდენტისგან ჩემპიონობის სანაცვლოდ დაპირებად მილიონი ლარი მიიღეს და ახლა უკვე ზაფხულის 29-ე ოლიმპიადის მოლოდინში არიან. ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობის შემდეგ თავისთვის მეოთხე ოლიმპიადაზე გამოვა და იქ 35 სპორტსმენს წარადგენს. გულშემატკივარი ოლიმპიადის დაწყებას ინტერესით ელის და ბევრი უკვე იმის ფიქრშია, ვინ იქნებიან ის ოლიმპიელები, საქართველოს მედალს რომ მოუტანენ. ერთ რამეზე ყველა ცალსახად თანხმდება — პეკინში ჩვენი მთავარი იმედი მოჭიდავეები და ძიუდოისტები იქნებიან და დიდწილად სწორედ მათგან ველით მედლებს. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **გიორგი გოგშელიძე** (96 კგ), იმ სპორტსმენებში მოიაზრება, ვინც პეკინში ოქროს მედლისთვის უნდა იბრძოლოს, ამიტომაც გოგშელიძესთან საუბარი ოლიმპიადის წინ ორმაგად საინტერესოა. გიორგი ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა, მაისში ტამპერეში მოგებული ევროპის ჩემპიონატიც გაიხსენა და მოახლოებულ ოლიმპიადაზეც გვიამბო...



ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ჯანთაძისის ფოტო

— სომხეთში, წახკაძორში ორკვირიანი მოსამზადებელი შეკრება გავიარეთ. ყველანაირი პირობა გვქონდა იმისთვის, რომ კარგად გვევარჯიშა. ახლა ბორჯომში გავდივართ შეკრებას, ჯვის ბოლოს თბილისში დავბრუნდებით, დაახლოებით სამი დღე გავჩერდებით და მერე ისევ ბორჯომის ერთკვირიანი დასკვნითი ვარჯიშები გველის. 11 აგვისტოს კი პეკინში მივდივართ.

— ოლიმპიადამდე ბევრი დრო აღარ დარჩა, როგორ ფორმაში ხარ ტრავმას ხომ არ უჩივი?

— ტრავმისგან დაზღვეული არავინაა, თუმც მგონია, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ამ მხრივ პრობლემა არ შემექმნება. ფორმაში კი წესით, ამ დროს არც უნდა ვიყო. წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით ვემზადები და იმ კონდიციაში ვარ, როგორც ამ ეტაპისთვისაა საჭირო. სასურველ ფორმაში იმ პერიოდში ვიქნები, როცა ამის საჭიროება ყველაზე მეტად იქნება, ანუ ოლიმპიადის დროს.

— რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ტამპერეში ევროპის ჩემპიონატამდე სერიოზული შედეგი არ გქონია... ამის გამო ხომ არ ნერვიულობდი?

— კი, ძალიან განვიცდიდი. ვიცოდი, რომ ნამდვილად შემეძლო გამარჯვების მოპოვება, მაგრამ სულ რაღაც მიშლიდა ხელს და სხვებისთვის ამის ახსნა ძნელი იყო. ტამპერეში მოგებულმა ევროპის ჩემპიონატმა საკუთარი თავის რწმენა განმიმტკიცა, ფსიქოლოგიურად უფრო გავძლიერდი.

— ისიც მნიშვნელოვანია, რომ ფინალში უხერხული მეტოქე რუსი ჰაჯიმურად გაცალოვი დაამარცხე.

— მასთან სულ რაღაც მაკლდებოდა და, როგორც ვფიქრობ, სათანადოდ მომზადებული ვერ ვხვდებოდი. ახლა ფინალამდეც მაგარი ბიჭები მყავდა დამარცხებული და იქ მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობდი, საოცრად მოტივირებული ვიყავი და მოვიგე კიდეც. ბუნებრივია, ჩვენი მომდევნო შეხვედრისას ფსიქოლოგიური უპირატესობა მე მექნება, თუმც შეიძლება, ისეც მოხდეს, გაცალოვი რუსებმა ოლიმპიადაზე არც წაიყვანონ, ოღონდ არც მისი შემცვლელი იქნება სუსტი, მურადოვი, ვინც რუსეთის ჩემპიონატის ფინალში გაცალოვი წააქცია სერიოზული მოჭიდავეა.

— რუს მოჭიდავეებზე უკვე თქვი და კიდევ ვინ იქნებიან პეკინში მთავარი კონკურენტები?

— რუსეთიდან 7-8 ბიჭი მაინც წავიდა სხვა ქვეყნებში. ოსები, დაღესტანელები მიმოფანტულნი არიან აზერბაიჯანში, ყაზახეთში, უკრაინაში, ბელარუსში... ეს მოჭიდავეები ძალიან სერიოზულ ძალას წარმოადგენენ, მათ გარდა არ უნდა დაგვავიწყდეს ირანი და თურქეთი. მოკლედ, კონკურენტი ბევრია, საერთო დონე საგრძნობლად გათანაბრდა და იოლად ვერავის აჯობებ. ყველა შეხვედრას ერთნაირად კონცენტრირებული უნდა მიუდგე, თორემ დაისჯები. არ არის გამორიცხული, რომელიმე სერიოზულ სპორტსმენს ნერვებმა უმტყუნოს და სწორედ ამის გამო შედარებით სუსტ მეტოქესთან წააგოს.

— ანუ ფსიქოლოგიურ მომზადებას დიდი მნიშვნელობა ექნება?

— იმისთვის, რომ წარმატებას მიაღწიო ყველა კომპონენტში სიძლიერეა საჭირო. კარგი მომზადების გარეშე არაფერი გამოვა. ეს ისედაც ნათელია და ვფიქრობ, რომ მთავარი ფაქტორი მაინც ნერვები იქნება. ვინც გაუძლებს ნერვების ომს, მას გამარჯვების მეტი შანსი ექნება.

— ოლიმპიადის წინ ბევრი ნერვიულობს, ზოგიც შედარებით მშვიდადაა, რადგან ზურგს დიდი გამოცდილება უმაგრებს. როგორ ხვდები ოლიმპიადას ამ თვალსაზრისით?

— არ ვნერვიულობ. ოლიმპიადაც ისეთივე დიდი ტურნირია, როგორც ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატი. ფაქტია, რომ ოლიმპიადას სხვა დატვირთვაც აქვს, მაგრამ აქაც ის სპორტსმენები გამოვლენ, რომლებიც სხვა მნიშვნელოვან ტურნირებზე ჭიდაობენ. შინაგანად მშვიდად ვარ და საკუთარი თავის მჯერა. ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული განწყობაზე, კონცენტრაციაზე, თითოეული ჭიდაობის წინ სათანადო მობილიზებაა საჭირო. ბევრი სპორტსმენი ამას ვერ ახერხებს, მე ამის გაკეთება მინდა და შემიძლია კიდეც.

— პეკინში მოპოვებული ოქროს მედლისთვის ქართველი ოლიმპიელი მთავრობისგან მილიონ ლარს მიიღებს, ესეც დამატებითი მოტივაცია იქნება.

— იცით, რა არის?! არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამაზე ფიქრი, თორემ შეიძლება ეს დამღუპველი აღმოჩნდეს. დიდი ყურადღება არ მიმიქცევია ასე ვთქვათ „გავატარე", იმიტომ რომ ახლა მხოლოდ ოლიმპიადაზე უნდა ვიფიქრო. ერთი რამ ისედაც ცხადია, ყველამ იცის, რომ ოლიმპიადის მოგების შემთხვევაში უკეთესი ცხოვრება ექნება, მაგრამ ამჯერად მხოლოდ საქმეზე უნდა ვიზრუნო. თორემ სტიმული, რომ არის ეს ისედაც ცხადია.

— ავლაბრის რეზიდენციაში ოლიმპიელების საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს მიხეილ საკაშვილი შენი ბინის საკითხით დაინტერესდა. რაიმე შეიცვალა ამ მხრივ?

— მინდა, გითხრათ, რომ ძალიან გახარებული ვარ ამ ფაქტით. პრეზიდენტს გავახსენდი და ჩემი საკითხით დაინტერესდა. არადა, მას ისედაც ბევრი საქმე აქვს და უამრავ ადამიანზე ფიქრობს. ყოველთვის ვიცოდი, რომ პრეზიდენტმა არ იცოდა ის პრობლემები, რაც მქონდა და ეს რამდენჯერმე ვთქვი კიდეც. ახლა ამაში დავრწმუნდი და მჯერა, რომ ეს საკითხი აუცილებლად მოგვარდება.

— ქართველ გულშემატკივარს რას ეტყვი ოლიმპიადის წინ, ისინი შენგან მხოლოდ მედალს ელიან?

— ვიცი, ხალხი ოქროს მედალს ელის. მეც ოქროს ვითხოვ საკუთარი თავისგან და ამისთვის არაფერს დავიშურებ. ჩემპიონობა ადვილი ნამდვილად არ იქნება, მაგრამ მიზნის მისაღწევად ყველაფერს გავიღებ.



ალექსანდრ ფარულავის ფოტო

ლეონიდ მაისურაძე

თბილისი. კოკა-კოლას თასი. კაცები საპრიზო 15 000 დოლარი

ნოდარ ითონიშვილი


ლაზარე კუხალაშვილი

ვურაბ დოლიძეანშვილის ფოტოები

კოკა-კოლას დამლევი სამი ქართველი დარჩა

პირველი იტალიელი მეორდება

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე „კოკა-კოლას“ თასის გათამაშებაზე საინტერესო დაპირისპირებები გრძელდება. ტურნირში თავიდან თუ ათი ქართველი თამაშობდა ახლა გათამაშებას სამი ჩვენებურიღა შემორჩა: ლაზარე კუხალაშვილი, ნოდარ ითონიშვილი, ბექა ბუჩუკური.

სათქმელია, რომ ბუჩუკურმა საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლია და ისე მოხვდა ძირითად ბადეში მოთამაშეთა ამქარში.

გუშინ, ლაზარე კუხალაშვილმა ივან ანიკანოვს 6:2 5:7, 6:4 მოუგო. და ახლა სომეხ ჰარუტინ სოფიანთან გაარკვევს ურთიერთობას.

ნოდარ ითონიშვილმა ზედმეტი ნერვიულობის გარეშე მოუთავა საქმე სომეხ აშოტ გევორქიანს და ტურნირის მე-4 ნომერი უკრაინელ დენის მოლჩანოვს გადაეყარა.

ბექა ბუჩუკურის მეტოქე საკვალიფიკაციოდან ძირითად ბადეში გადმოსული მე-7 ნომერი შარლ როშე იქნება და ჩვენებურს გაცილებით რთული ამოცანა ექნება გადასაჭრელი.

ახლახანს დასრულებული თბილისის ტურნირის გამარჯვებული იტალიელი მატეო მარაი „კოკა-კოლას“ თასზეც პირველი ნომერია. ამჯერად, მარაი უკრაინელი ვადიმ ალექსენკოს დაჩაგვრას ეცდება, ხოლო მეორე ნომერი, თბილისის ტურნირზე იტალიელთან ფინალში დამარცხებული სერბი დავიდ სავიჩი სომეხ ჰოვანის დავთიანს შეხვდება.

ლეჭსო მაისურაძე

პირველი წრე

მატეო მარაი (იტალია) — **ალექსანდრ იარმოლა** (უკრაინა) 3:0, **იარმოლამ** თამაში შეწყვიტა
ვადიმ ალექსენკო (უკრაინა) — **ალექსანდრე გიგიტაშვილი** (რუსეთი) 6:0 6:1
ლაზარე კუხალაშვილი (საქართველო) — **ივან ანიკანოვი** (უკრაინა) 6:2 5:7 6:4
ჰარუტინ სოფიანი (სომხეთი) — **პეტარ პოპოვიჩი** (საფრანგეთი) 7:5 6:3
დენის მოლჩანოვი (უკრაინა) — **ანდრეი პლოტნი** (რუსეთი) 6:4 3:6 6:4
ნოდარ ითონიშვილი (საქართველო) — **აშოტ გევორგიანი** (სომხეთი) 6:1 6:2
ვაჟა იზაკოვი (უზბეკეთი) — **რომან კისლინსკი** (რუსეთი) 6:4 7:6
შარლ როშე (საფრანგეთი) — **ალექსეი ვილენკოვი** (რუსეთი) 6:1 6:2
დავიდ სავიჩი (სერბეთი) — **მიხაელ ლეონგი** (სოლომონის კუნძულები) 6:2 6:4
ნიკოლოზ ძურდაძე (საქართველო) — **ანდემირ კარანაშევი** (რუსეთი) 6:1 6:1

თბილისს მეტოქე უთსრეს

ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის პირველ ეტაპზე თბილისის „თბილისის“ მეტოქე ისრაელის „მაკაბი“ იქნება. ჯგუფში მოსახვედრად კი სამი ეტაპის გადალახვაა საჭირო, რაც ქართული გუნდების დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ოცნებას უფრო ჰგავს.

ევროთასებზე მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონ „სტუ-თელავსაც“ შეეძლო, მაგრამ მათ ფინანსური პრობლემების გამო ევროპულ მარაქაში გარევა იუარეს. „თბილისს“ კი, რომელმაც წლეულს საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფის ფინალში „სტუ-თელავთან“ დაძაბულ დაპირისპირებაში წააგო, „მაკაბთან“ გვარიანად რთული თამაში ელის, თავი რომ არ შეირცხვინოს. საამისოდ ბევრი რამ გუნდის მოთამაშე მწვრთნელ ტიტე კალანდაძეზე იქნება დამოკიდებული. ტიტე გამოცდილი ხელბურთელია ასეთ თამაშებში მიღებული პრაქტიკა კი ამ მატჩებისთვის მნიშვნელოვანი იქნება.

ლეჭსო მაისურაძე

ტიტე კალანდაძე

ბაჩო ჯიმლიხიძის ფოტო

შავი ზღვა ვეღარ ბობოქრობს

რამდენიმე თვის წინ კომუსუბიმ, ახლა კი მე-10 მაეგაშირობამდე დაქვეითებულმა კოკაით წოდებულმა ლევან ცაგურიამ კიდევ ერთი მარცხი განიცადა ნაგოიას ბაშოზე.

„შავმა ზღვამ“ ამჯერად სიტატედასინაგეთი წააგო დასავლეთის მე-7 მაეგაშირა კაკურიუსთან. ახლა კოკაის ანგარიშზე 10-დან 6 წაგებული შერკინებაა და ჩვენ გოლიათს უარყოფითი ბალანსის გამო წოდებაში დაქვეითება რეალურად ემუქრება.

დარჩენილი ხუთი შეხვედრიდან — ცაგურიამ ოთხი მაინც უნდა მოიგოს, რათა დადებითი ბალანსი (კატიკოსი) მოიპოვოს. მომდევნო ორთაბრძოლას ჩვენებური აღმოსავლეთის მე-16 მაეგაშირა შანაცუკასასთან ჩაატარებს.

ტოჩინოშინად წოდებული ლევან გორგაძეს კი მშვენიერი შანსი აქვს, თავისი პირველი საუმაღლესლიგო კატიკოსი მოინაგროს. ტოჩინოშინმა მე-10 ორთაბრძოლაში იორიკირით გაიყვანა დოჰიმიდან დასავლეთის მე-9 მაეგაშირა იბაკიამა და ამით მე-6 გამარჯვება მიითვალა. მორიგ ჯახს გორგაძე აღმოსავლეთის მე-12 მაეგაშირა ტაკეკაძესთან გამართავს.

ჯერჯერობით გზაზე ვერავინ გადაეღობა 23 წლის იოკოძუნა ხაკუხოს. მონღოლი ტალანტის მორიგი მსხვერპლი სეკივაკე კოტოსეგიკუ გახდა. ხაკუხომ მეტოქე იორიკირით დაამარცხა. ივლისის ბაშოს მე-11 დღეს იოკოძუნა ხაკუხო მხოლოდ სამი მარცხის პატრონ სეკივაკე ამას დაეჭიდება.

ზურაბ მიგრიაული


ტოჩინოშინი

გლდანიდან პეკინში

საქართველოს მოკრივეთა ნაკრებმა სომხეთში, წახკაწორის ოლიმპიურ ბაზაზე, მოსამზადებელი შეკრება გაიარა და თბილისში დაბრუნდა. ჩვენი მოჩხუბრები ახლა გლდანში, დუნდუების კრივის დარბაზში, ვარჯიშობენ. ნაკრების თავკაცი თენგიზ მესხაძე ლიცენზირებულ მოკრივეებთან ერთად სხვა ბიჭებსაც ავარჯიშებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს სახელს პეკინის ოლიმპიადაზე ნიკოლოზ იზორია (57 კგ) და კახაბერ ჟვანია (69) დაიცავენ. მესხაძემ მათ მომზადების დონეზე ეს თქვა: „სომხეთში, საკმაოდ კარგ პირობებში, ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ. ბიჭები ჯანმრთელობის პრობლემას არ უჩივიან და საკმაოდ მოტივირებულები არიან. ახლა დასკვნით მოსამზადებელ ეტაპს გლდანის კრივის დარბაზში გავივლით და მალევე პეკინში წასვლა მოგვიწევს“.

ლეჭსო მაისურაძე

მელელაშვილი დააკავეს

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი ტარიელ მელელაშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის სპეცსამსახურმა დააკავა.

შშს-ს სამინისტროს პრეს-სამსახურის ცნობით 32 წლის ტარიელ მელელაშვილს თანამზრახველებთან ერთად გერმანიაში მოპარული მანქანების ჩამოყვანა-გაყიდვა ედებათ ბრალად.

ტარიელ მელელაშვილი საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრი იყო. 1996 და 2000 წლების, ატლანტის და სიდნეის ოლიმპიადებზე იჭიდავა. ამის შემდეგ, უზბეკეთის სახელით ჭიდაობდა და გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირიც აქვს მოგებული.

არავისში გაცვლილი მარჯუს ჯემბი ძმაჯაცებს ემუქრება

ეს რა მაკადრეს!

ნბა-ში ერთი მოთამაშის მეორეში გაცვლა ჩვეულებრივი, ლამის ყოველდღიური ამბავია. ნებისმიერ მოთამაშეს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ კლუბთან კონტრაქტის დადების შემდეგ იგი დიდი ფინანსური სისტემის ფასიანი საგანი ხდება და ეგუება იმ აზრს, რომ მეორე დღეს სულ სხვა გუნდში შეიძლება აღმოჩნდეს.

თანამედროვე ნბა-ში პრაქტიკულად არ არსებობენ შეუცვლელი (გაუცვლელი) მოთამაშეები. ხვალ „კლივლენდმა" ლებრონ ჯეიმსი „ნიუ იორკში" რომ გაუშვას და იქიდან მის სანაცვლოდ „ნიქსის" შემადგენლობის ორი მესამედი წამოიყვანოს, ეს ამბავი კაციშვილს არ გააკვირვებს. ყოფილა შემთხვევა, რომ ერთი კაცი შვიდშიც კი გაუცვლიათ — 2000 წელს „სიეტლმა" ჩვენებური ვლადიმერ სტეფანია ექვს თანაგუნდელთან ერთად „ნიუ იორკს" დაუთმო დაბერებული სუპერვარსკვლავის პატრიკ იუინგის მაგიერ.

მაგრამ ის, რაც მარკუს კემბის შეემთხვა, ნამდვილად არ ხდება ყოველდღე. ერთი კვირა გავიდა და კაცი დღემდე შოკშია, ეს რა მაკადრესო. ბოლო სამი სეზონის საუკეთესო დამფარებელი, 2006-07 წლების რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო დამცველი, ბოლო წლებში საშუალოდ 12-ზე მეტი მოხსნის და 3-ზე მეტი დაფარების მკეთებელი მოთამაშე, მოკლედ, ასოციაციის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი გაცვალეს 2010 წლის დრაფტის მეორე რაუნდის არჩევანში, ანუ პრაქტიკულად არავისში.

„კარგად მესმის, რომ ეს ბიზნესია, მაგრამ ჩემთვის ერთი დღით ადრე მაინც ეთქვათ. ეს რა, ბიზნესში შეუშლიდათ ხელს? ჩემი აგენტისგან გავიგე, რომ „დენვერმა" „კლიპერსში" გამიშვა ორი წლის შემდეგ დრაფტზე ასაყვანი ისეთი მოთამაშის მაგივრად, რომელიც ან მოხვდება 12-კაციან განაცხადში, ან არა — 12-წლიანი ვეტერანი ჯერაც ვერ დამშვიდებულა — კომპლექსად ნუ ჩამითვლით ამას, მაგრამ ამ ორ წელს მოლოდინში გავატარებ, ერთი ვნახო, რა ბიჭი იქნება, ის 2010 წლის დრაფტის მეორე წრეში არჩეული. ამასობაში, უდიდეს სიამოვნებას მივიღებ „დენვერთან" შეხვედრებში და ყოველ თამაშში ჩემი ყოფილი თანაგუნდელები ბევრად უკეთეს მარკუს კემბის იხილავენ, ამაში დარწმუნებულნი იყავით."

მაინც რატომ მოიშორა თავიდან „დენვერმა" დაცვის ბურჯი? ამ გუნდს საკმაოდ ვარსკვლავური შემადგენლობა ჰყავდა — კემბი, აიერსონი, ენტონი, მარტინი, ილარიო, სმიტი, კლეიზა... ყველანი ვარსკვლავები არიან და ბლომად მილიონებს ხვეტავენ, გუნდი კი ერთთავად პლეი ოფის პირველ რაუნდში მარცხდებოდა, ხშირად უარესი შემადგენლობის მყოფ მოწინააღმდეგეებთანაც კი. „ნაგიტსის" ხელმძღვანელობამაც განტევების ვაცად აქცია ყველაზე ასაკიანი კემბი, მიუხედავად იმისა, რომ ის 33 წლისაც ძალზე საიმედო გახლდათ.

„ჩემს ყოფილ თანაგუნდელებს შეხედეთ, ისინიც აშკარად გულნატკენნი დარჩნენ ჩემი გაშვებით, მათ ჩემი სახით დაცვაში ზურგი დაკარგეს და აგერ ნახავთ, შემდეგი სეზონიდან „დენვერი" გაცილებით მეტ ქულას მიიღებს საკუთარ კალათში. ალენი, კენიონი, კარმელო, ლინასი — ეს ბიჭები ჩემთვის ძმებად დარჩებიან და მათ პირადულად საუკეთესოს ვუსურვებ, მაგრამ, აი, ჩემს ყოფილ გუნდს..."

იქნებ კემბის ისიც უმძიმებს ხასიათს, რომ ისტორიულად სუსტ „კლიპერსში" ამოყო თავი, თანაც ასე უცაბედად გადაისროლეს იქ. ლოს ანჯელესის მეორე თანრიგის გუნდმა (პირველისა „ლეიკერსია") შარშან ვერც იბრძოლა პლეი ოფში მოსახვედრად და რეგულარული ჩემპიონატი 23-59 ბალანსით დაასრულა. მაგრამ წლეულს ამ გუნდში ბევრი რამ შეიცვალა. „კლიპერსს" ახალ ლიდერად მოევლინა „გოლდენ სტეიტიდან" ახლახან გადაყვანილი სუპერგამთამაშებელი ბაირონ დევისი და კემბის დამატებით კარგი ხუთეულიც იკვრება — დევისი, მობლი, ტორნტონი, კამანი და კემბი.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ თვითონ „კლიპერსში" კემბის ციდან ჩამოვარდნილი საჩუქარივით შეხვდნენ და თუმცა ვეტერანი მაინც ჯუჯღუნებს, ეს რა მიყო „დენვერმაო", ახალ გუნდში მას იმდენი სითბო აგრძნობინეს, რომ კემბის ალბათ მალე გაულღვება გულში ჩადებული ბოღმის ქვამარილი.

„დევისი რომ მოვიდა ჩვენთან და ბრენდი და მაგეტი გაიქცნენ, მაშინ კიდევ ვინმეს აყვანა გადავწყვიტეთ. საუკეთესო ვარიანტად კემბი ჩანდა, მაგრამ მისი გადმობირების შანსები ძალიან მცირე იყო — ხალისით ყვება „კლიპერსის" თავკაცი მაიკ დანლივი — ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა და რომ გავიგე მარკუსი ჩვენია-მეთქი, მუხლები აღარ მივარგა, მაგრამ იმხელაზე ავხტი, რომ ლამის ჭერს ვდრუზე თავი. დაცვაში ის კედელივითაა, ხოლო შეტევაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდური ცენტრია. ბევრ მეფარეს არ აქვს მასავით კარგი პასი და მოედნის ხედვა."

გამოჩნდა ერთი მცირე პრობლემაც — კემბიც და კრის კამანიც ცენტრები არიან, თანამედროვე, რეაქტიულ კალათბურთში კი ორი მძიმე მეფარით თამაშისას ძვირფასი სიჩქარე იკარგება და აღარც არავინ იყენებს ხუთეულში ორ 2,10 მეტრს აცილებულს. ასე რომ, რომელიმეს თავდამსხმელობა და ფარს მოწყვეტა მოუწევს. რაკი კამანი კემბიზე 8 წლით ახალგაზრდაა, მას მოუწევს სამწამიანი ზონიდან გამოსვლა და „4 ნომრად" სირბილი.

მაგრამ კემბი აწალ პარტნიორს შეღავათებს ჰპირდება — „როცა „ფინიქსთან" მოგვიწევს თამაში, კრისს სიამოვნებით დავუთმობ სამწამიანში ადგილს, დაე, ის ეჭიდაოს შაკილ ონილს. მე უკვე ვცადე და რაღაც ვერ გამომდის."

ირაკლი ფირაზვილი



ტონი ალენი



ედი ჰაუსი

მწვანე ბოსტონი ისევ ოქროსფერია

ყველაფრიდან ჩანს, რომ ჩემპიონი „ბოსტოს სელტიქსი" მომავალ სეზონშიც უმაღლესი ჯილდოსთვის იბრძოლებს და ამისთვის მას ყველაფერი აქვს, უფრო ზუსტად ყველა ჰყავს. ჩემპიონებმა თითქმის სრულად შეინარჩუნეს „ოქროს" შემადგენლობა. თუ არ ჩავთვლით თავისუფალი აგენტის სტატუსით „შარლოტში" გაქცეულ საუკეთესო სათადარიგოს ჯეიმს პოუზის, „კელტებს" არავინ დაუკარგავთ. სასტარტო ხუთეულიდან არავის ამოწურვია კონტრაქტი ამ ზაფხულს, ასე რომ დენი ეინჯი, დიკ რივერსი და გუნდის სხვა მმართველები იმის შიშით არ შეწუხებულან, ემანდ ვინმე მნიშვნელოვანი არ დავკარგოთო.

„კელტების" ხუთეული 2008-09 სეზონშიც უცვლელი უნდა იყოს — რონდო, ალენი, პირსი, გარნეტი, პერკინსი. გარდა ამისა, პრაქტიკულად უცვლელი იქნება სათადარიგოთა სკამიც. გუნდში დარჩნენ 1969 წელს დაბადებული (!) მრავლისმნახველი ვეტერანები — სემ კასელი და ფიჯეი ბრაუნი, ხოლო ორი დღის წინ კლუბმა ახალი კონტრაქტი დაუდო ძველამოწურულ ორ სამარქაფოს — ტონი ალენსა და ედი ჰაურს. მართალია, ესენი მხოლოდ ეპიზოდური როლის შემსრულებლები არიან და მოედანზე 15-18 წუთს ატარებენ, მაგრამ კლუბის მამებმა ყველას ნათლად დაანახვეს, რომ დაუწერელ კანონს იცავენ და გამარჯვებულ შემადგენლობას ოდნავადაც არ ცვლიან.

ამასობაში კი ბოლო ერთ წელიწადში შემადგენლობის გადახალისებას აგრძელებს „ნიუ ჯერსი ნეთსი", ვინაც გასულ სეზონში ჯეისონ კიდი გაცვალა, სეზონის ბოლოს კი მას რიჩი ჯეფერსონი მიაყოლა და ერთი სული აქვს, მესამე სუპერვარსკვლავი ვინს კარტერიც მოიშოროს, რათა პირველი აგურიდან დაიყოს სახლის შენება. „ნიუ ჯერსიმ" ორბაშათს „ორლანდოს" წაჰგვარა უნივერსალი უკანახაზელი კენიონ დულინგი, რომელიც მატჩში საშუალოდ თითქმის ათ ქულად ღირს და სათადარიგოთა სკამს გაამაგრებს.

განო კობიაზვილი

ოკლაჰომაში 16 000 აბონემენტი გასაღდა

„სიეტლ სუპერსიონიქსის" მფლობელი დან გილბერტი, შეიძლება ითქვას, უნამუსოდ მოიქცა, როცა ქალაქ სიეტლს საყვარელი კლუბი წაართვა და თავის მშობლიურ ოკლაჰომა სიტიში გაიქცია, მაგრამ როგორც ირკვევა, ის ტყუილად არ იშლიდა ნервებს სიეტლელებთან დავაში და კვირების განმავლობაში სასამართლოში სირბილში.

გელბერტმა თავისი მაინც გაიტანა, კლუბი ოკლაჰომაში გადაიყვანა (ეგაა, სიეტლელებმა ბრძოლაში დაატოვებინეს სახელი „სუპერსონიქსი", ლოგო და ყვითელ-მწვანე საკლუბო ფერები). ახლა მას და მის რაზმს გუნდის თავიდან „დასათაურება" და „გაფერადება" უწევს, მაგრამ ბედნიერ თანაქალაქელებს რომ უყურებს, თავის ნამოქმედარს ცუდკაცობად აღარ თვლის, იმდენი სიხარული და ბედნიერება მოუტანა მშობლიურ ქალაქს.

ოკლაჰომელები, პირდაპირ, სიხარულის მეცხრე ცაზე ფრინავენ და ერთი სული აქვთ, როდის დადგება ოქტომბერი და კობი ბრაიანტთან, ლებრონ ჯეიმსთან და ნბას სხვა დინოზავრებთან შეჭიდულებს როდის იხილავენ თავიანთ ახალ კუმირებს. ოკლაჰომას აქამდე არასდროს ჰყოლია არა მარტო საკალათბურთო, არამედ საერთოდ პროფესიული კლუბი. ამერიკული მასშტაბით ეს ქალაქი არცთუ დიდია და საყოველთაო აზრით გაუჭირდებოდა ასეულობით მილიონიანი ბიუჯეტის მქონე კლუბის შენახვა, მაგრამ აი, ოკლაჰომამ ორი წლით შეიფარა და თავის დარბაზში ათამაშა „კატრინასგან" დანგრეული ნიუ ორლეანის „ჰორნეთისი" და ადგილობრივი ჯიბესქელი ხალხიც მიხვდა, რომ ფინანსური პრობლემები არ გაჩნდება.

გუნდს ჯერ სახელიც არა აქვს და კლუბის წარმომადგენლის თქმით, უკვე 16 000-მა ოკლაჰომელმა გამოთქვა არა ერთჯერადი, არამედ ჩვენში აბონემენტად წოდებული სეზონური ბილეთის ყიდვის სურვილი. ყველასთვის ნათელია, რომ „ოკლაჰომა (ვთქვათ), ინდიანზს" დასწრების პრობლემა არ ექნება. მშვიდობიანი მოქალაქენი ცარიელ ადგილს არ დატოვებენ ტრიბუნაზე და პატიოსნადაც გაასაღებენ ათასობით ბოთლ კოკა-კოლასა და ჰამბურგერს.

ირაკლი ფირაზვილი

ტორონტოში ბობოლებიც ჩავიდნენ



ფრენკ დანცევიჩი

ჩრდილოეთ ამერიკის ჰარდზე საზაფხულო მასტერსების ჟამი დადგა. წლეულს, ოლიმპიადის წელია და პეკინის თამაშებთან დაკავშირებით ამ მასტერსებმა კალენდარში წინ გადმოიწიეს. ორი საზაფხულო საოსტატო ტურნირიდან პირველი, ტრადიციულად, კანადაში იმართება და ასევე ტრადიციულად, კანადურ შეჯიბრს მორიგეობით მასპინძლობენ მონრეალი და ტორონტო.

წლეულს ტორონტოს რიგია და იყო იმის საშიშროება, რომ ხსენებული ოლიმპიური თამაშების ფაქტორიდან გამომდინარე, კანადაში ბევრი ბობოლა არ ჩასულიყო. საბედნიეროდ, ეს შიში არ გამართლდა და ტორონტოში ATP-ის რეიტინგის ყველა მოწინავე ითამაშებს როჯერ ფედერერის, რაფაელ ნადალისა და ნოვაკ ჯოკოვიჩის თამადობით.

პარალელურად, ამ კვირაში ქალთა ორი ტურნირიც მიმდინარეობს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიულ კერსონში წარმოადგენლობითი შეჯიბრია და იქ განთესილთა სიის თავში ელენა იანკოვიჩი და სერენა უილიამსი არიან, ხოლო მათ, რომლებმაც ოლიმპიადამდე ოკეანის გადაფრენა დაიზარეს, სლოვენიურ პორტოროზში მოიყარეს თავი.

კაცები
მასტერსის სერია
ტორონტო. კანადა. ჰარდი
საპრიზო 2 615 000 დოლარი

პირველი წრე

სტანისლას ვავრინკა (9, შვეიცარია) — **სიმონე ბოლელი** (იტალია) 6:4 7:6; **რიშარ გასკე** (10, საფრანგეთი) — **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი 6:2 4:6 6:3; **ფელიჩიანო ლოპესი** (ესპანეთი) — **რადეკ შტეფანეკი** (11, ჩეხეთი) 4:6 6:3 6:4; **ტომი რობრედო** (12, ესპანეთი) — **ფრედერიკ ნიემაიერი** (კანადა) 7:6 6:1; **ფერნანდო გონსალესი** (14, ჩილე) — **ჟულიენ ბენეტუ** (საფრანგეთი) 6:2 6:1; **მიხაილ იუჟნი** (15, რუსეთი) — **ანდრეა სეპი** (იტალია) 7:6 6:2; **როჯერ ფეინბერგი** (აშშ) — **პოლ-ანრი მატიუ** (საფრანგეთი) 6:3 4:6 6:4; **ფრანკ დანცევიჩი** (კანადა) — **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) 6:3 6:4; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — **ერნესტ გულბისი** (ლატვია) 6:7 6:3 7:5; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — **მარდი ფიში** (აშშ) 7:5 7:6; **ნიკოლა მაჰუ** (საფრანგეთი) — **იანკო ტიპსარევიჩი** (ხორვატია) 6:3 6:7 6:2.

ფავორიტები კანადურ ტურნირს მეორე წრიდან დაიწყებენ, მანამდე კი რამდენიმე საინტერესო მატჩი ჩატარდა და თქვენს ყურადღებას სწორედ მათზე შევაჩერებთ.

ქომაგები გაახარა ფრანკ დანცევიჩმა. წლეულს საკმაოდ კარგად მოთამაშე კანადელმა შანსი არ დაუტოვა მძლავრ ხორვატ მარიო-ანჩიჩს.

გარკვეულწილად მოულოდნელი იყო ერნესტ გულბისის მარცხი. ახალგაზრდა ლატვიელის პროგრესი აშკარაა და მასთან თამაში ბობოლებსაც კი უჭირთ, მაგრამ გამოცდილმა არგენტინელმა ხოსე აკასუსომ არც მეტოქის იმიჯს მიაქცია ყურადღება, არც იმას, რომ პირველი სეტი ტაი-ბრეიკზე წააგო და სამსეტიან დაძაბულ მატჩში გატეხა ბალტიისპირელის წინააღმდეგობა. მეორე წრეში აკასუსო ჩილელ ფერნანდო გონსალესს შეხვდება, რომელმაც თავის მხრივ იოლად დაჯაბნა ფრანგი ჟულიენ ბენეტუ.

გვარიანი სანახავი გამოდგა ორი ფრანგის, რიშარ გასკესა და მიშელ ლოდრას დაპირისპირება. ისინი, არა მარტო თანამემამულენი, მეგობრებიც არიან და საბოლოოდ რანგით უფრო მაღლა მდგომმა, მე-10 ნომრად განთესილმა გასკემ იმარჯვა.

განთესილებიდან მხოლოდ მე-11 ნომერი, ჩეხი რადეკ შტეფანეკი დამარცხდა, თუმც მას ესპანელმა ფელიჩიანო ლოპესმა მოუგო და ვერ ვიტყვით, რომ დიდ მოულოდნელობას ჰქონდა ადგილი.

ქალები
კერსონი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 დოლარი

პირველი წრე

სამანტა სტოსური (ავსტრალია) — **შაჰარ პირი** (12, ისრაელი) 6:1 6:1; **მელინდა შინკი** (უნგრეთი) — **ვირჯინი რაზანო** (13, საფრანგეთი) 6:3 6:3; **სიბილ ბამერი** (14, ავსტრია) — **აშა როული** (აშშ) 6:0 6:4; **სანია მირზა** (ინდოეთი) — **ევა პრდინოვა** (ჩეხეთი) 6:3 6:4; **ჯილ კრეიბასი** (აშშ) — **ენ კეტავონგი** (ბრიტანეთი) 6:3 6:2; **პეტრა კვიტოვა** (ჩეხეთი) — **ალისა კლეიბანოვა** (რუსეთი) 6:4 1:6 7:5; **იუნ იან ჩენი** (ტაივანი) — **არავან რეზაი** (საფრანგეთი) 6:1 6:4; **მარტა დომაჩოვსკა** (პოლონეთი) — **კოკო ვანდეგეგე** (აშშ) 6:3 6:3; **ოლგა გოვორცოვა** (ბელარუსი) — **დარია კუსტოვა** (ბელარუსი) 6:3 6:4; **ბეტანი მატეკი** (აშშ) — **ებიჯელ სპირსი** (აშშ) 6:2 6:4; **ოლგა სავჩუკი** (უკრაინა) — **გიზელა დულკო** (არგენტინა) 6:4 6:3; **ტამირა პაშეკი** (ავსტრია) — **აიკო ნაკამურა** (იაპონია) 6:4 6:2

ქალები
პორტოროზი. სლოვენია. ჰარდი
საპრიზო 145 000 დოლარი

პირველი წრე

კაროლინ ვოზნიაცკი (3, დანია) — **ანდრეა კლეპაჩი** (სლოვენია) 7:5 6:0; **ანაბელ მედინა გარიგესი** (4, ესპანეთი) — **ეკატერინა მაკაროვა** (რუსეთი) 6:1 6:3; **კეტი ობრაიენი** (ბრიტანეთი) — **ცვეტანა პირონკოვა** (5, ბულგარეთი) 7:6 4:6 6:2; **კლარა ზაკოპალოვა** (ჩეხეთი) — **კარლა სუარეს ნავარო** (7, ესპანეთი) 6:4 6:3; **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) 6:3 6:3; **პეტრა მასტიჩი** (ხორვატია) — **ანგელიკა კერბერი** (გერმანია) 7:5 6:2; **იულია ვაკულენკო** (უკრაინა) — **პოლონა ჰერცოგი** (სლოვენია) 5:7 6:4 6:4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათს ლონდონში

რაც უფრო ახლოვდება ოლიმპიადა, მით მეტად იჭიმება 100 მეტრზე მორბენალთა შორის დაძაბულობის ძარღვი. ვის დარჩება პეკინის სარბიელზე ოქროს მედალი, ამერიკელ ტაისონ გაის თუ იამაიკელებს — ასაფა პაუელს ან უსაინ ბოლტს?

რამდენიმე დღეში ამათ შორის გენერალური რეპეტიცია უნდა გაიმართოს. ხუთშაბათს ლონდონის გრან პრის სტარტზე გვერდიგვერდ დადგებიან და ირბენენ პაუელი და შარშან ოსაკაში მისი გამსწრები გაი. პაუელი აშკარად ვერაა ფორმაში, უფრო ზუსტად კი, ვერაა ჯანმრთელად. წლეულს მან უკვე მოასწრო ორი კონკურენტიდან ერთ-ერთთან წაგება. იამაიკის ჩემპიონატზე ექსრეკორდსმენმა მოქმედ რეკორდსმენ ბოლტის გასწრება ვერ შეძლო, სირბილის შემდეგ კი ბევრი ისაუბრა ტრავმასა და თავის დაზოგვაზე. წინა უქმეებზე მას რომში, „ოქროს ლიგის“ მესამე ეტაპზეც უნდა ერბინა, მაგრამ ტურნირიდან მოიხსნა და სარბენ ბილიკზე გასვლა 10 დღით გადადო.

„ლონდონის გრან პრიზე აუცილებლად ვირბენ“ — ამბობს პაუელი. ლონდონში კი მას გაი უცდის.

იდეალური წელი არც გაის აქვს. მსოფლიოს ჩემპიონმა 100 და 200 მეტრზე სირბილში კი მოიგო აშშ-ის ჩემპიონატი პირველ სახეობაში, მაგრამ მეორეში წაიქცა და პეკინში 200 მეტრზე სირბილიც აღარ მოუწევს. მაინც მადლობელია, რაკი ტრავმას გადაურჩა და პაუელისგან განსხვავებით, საკმაოდ გადატვირთულ პეკინამდელ გრაფიკშიც ზის — ხუთშაბათს ხომ ასაფას უნდა შეეჯიბროს ლონდონში, ორი დღის მერე კი შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში ჩადის, სადაც უკვე უსაინ ბოლტონთან გამოცდის თავს.

ვანო კობიაჯვილი

ავსტრალიამ დიქსი დაკარგა



რალიელებმა ცურვის მშვენიერი გუნდი შექმნეს პეკინის ოლიმპიადისთვის და ასე ათამდე ოქროს მედალსაც გეგმავენ, მაგრამ მეორე მრავალდისციპლინიან სახეობაში, მძლეოსნობაში, ასე მდიდარი კრებული ვერ ჰყავთ და ვინც ჰყავთ, იმასაც კარგავენ.

გუშინწინ გაირკვა, რომ პეკინში ვერ იასპარეზებს მსოფლიოს ჩემპიონი 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში, ავსტრალიის ერთ-ერთი მთავარი იმედი ნათან დიქსი, ვისაც მარცხენა მუხლი აქვს დაზიანებული და ოლიმპიადაზე სიარულს ვინ ჩივის, იქნებ საერთოდ ველარ გაიაროს ნორმალურად.

„ოთხი წელია, ეს პრობლემა მაწუხებს და მრავალჯერ გადავდე ოპერაცია, მაგრამ ამასწინათ შვეიცარიაში რომ ვვარჯიშობდი, ჩემმა სხეულმა ყველაფერი ჩემს მაგივრად გადაწყვიტა. მყესი დაზიანებულია და ამის გამო ძვალს თითქმის აღარ შერჩა ხრტილოვანი საფარი. ასეთ სიტუაციაში ცხადია, ვერ ვიფიქრებ ოლიმპიადაზე“ — ამბობს გულდაწყვეტილი ავსტრალიელი.

ვანო კობიაჯვილი

ბრაზილია ლიგის ფინალს მასპინძლობს

ბრაზილიაში დღეს დაიწყება და კვირას იქვე დასრულდება ფრენბურთელ კაცთა მსოფლიო ლიგის ფინალური ეტაპი, რომელშიც ტრადიციულად ექვსი უძლიერესი ნაკრები მიიღებს მონაწილეობას.

საუკეთოეს ექვსეული მასპინძელმა ბრაზილიამ, პოლონეთმა, რუსეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, სერბეთმა და იაპონიამ შეადგინეს. ეს ექვსეული ჯგუფური ეტაპის შემდეგ გამოვლინდა, სადაც 16 გუნდი ოთხ ოთხგუნდა ჯგუფად იყო დაყოფილი.

ჯგუფებში ბრაზილიამ, რუსეთმა, ამერიკამ და პოლონეთმა იმარჯვეს და შემდეგ მათ სერბეთი და იაპონია დაემატნენ.

ფინალური ექვსეული, თავის მხრივ, ორ ჯგუფად დაიყო. ერთში ბრაზილია, რუსეთი და იაპონია მოხვდნენ, ხოლო მეორეში — აშშ, სერბეთი და პოლონეთი.

რეგლამენტის თანახმად, ჯგუფების ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში გავა. იქ გუნდები ერთმანეთს ჯვარედინად (ანუ ერთ ჯგუფში გამარჯვებული მეორის მეორეადგილოსანს და — პირიქით) დაუპირისპირდებიან და ფინალისტებსაც გამოავლენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

CSC-ის ექსპრესი კედელს მიადგა

ზღვის დონიდან 2802 მეტრი — დე ლა ბონეტის უღელტეხილი

„ჩვენ შევუტიეთ პირინეებში და შევუტევთ ალპებში. ჩვენ უძლიერესი სამთო მრბოლები გვყავს. ჩვენ აქ იმიტომ ვართ, რომ ჩემპიონები გავხდეთ. ამისათვის კი ევანსის და მენშოვის იზოლირებაა საჭირო. უახლოეს ორ ეტაპზე უპირატესობა უნდა გავზარდოთ“ — ეს დანიური CSC-ის მენეჯერის ბიარნე რიისის სიტყვებია. 1996 წელს რიისმა თავად მოიგო „ტური“ და დიადი ესპანელის მიგელ ინდურაინის ხუთწლიანი მეფობა დაამხო. ამ ამბიდან 11 წლის შემდეგ კი, ანუ შარშან, რიისმა აღიარა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში დოპინგის მომხმარებელი იყო, რის გამოც მას „ტურ დე ფრანსის“ ორგანიზატორებმა ჩემპიონის წოდება ჩამოართვეს.

ახლა რიისი, როგორც გუნდის მენეჯერი, ისე ცდილობს უდიდესი რბოლის მოგებას და საამისოდ, მას მართლაც ზემძლავრი გუნდი ჰყავს, რომელიც ყველა აღმართში ექსპრესივით მიაქროლებს და შემდეგ შლის პელოტონს.

რიისმა იცის საჩემპიონო რეცეპტი და გუშინ მისმა მრბოლებმა გარკვეულწილად, მართლაც შეძლეს მენშოვის იზოლირება. ეს ზღვის დონიდან 2802 მეტრ სიმაღლეზე მდებარე დე ლა ბონეტის უღელტეხილიდან დაშვებისას მოხდა.

დე ლა ბონეტი ევროპაში ის უმაღლესი უღელტეხილია, სადაც მოასფალტებული საავტომობილო გზა გადის და გუშინ რიგით 95-ე „ტურის“ ქარავანი სწორედ ამ და მანამდე გავლილი დე ლა ლომბარდის უღელტეხილებით დაბრუნდა იტალიიდან საფრანგეთში.

მენშოვმა კოშმარულ დაღმართში საშინელი სიჩქარით დაშვებისას დაკარგა 35 წამი და ახლა ის ლიდერთან, CSC-ის ლუქსემბურგელ ფრენკ შლეკთან, უკვე წუთსა და 13 წამს აგებს. ამ მოწინავე ექვსეულიდან, რომელთა შორის სხვაობა გუშინდელი ეტაპის წინ ოდენ 49 წამი იყო, „ჯერმენ შიპოტლის“ ამერიკელი კრისტიან ვანდეველდეც ამოვარდა, რომელმაც ვერ გაუძლო დე ლა ბონეტის აღმართს და თითქმის 3 წუთი წააგო ყვითელმაისურიან შლეკთან.

აი, კედელ ევანსს კი CSC-ის მრბოლებმა ჯერჯერობით ვერაფერი მოუხერხეს. ბელგიური „ლოტოს“ ავსტრალიელი ლიდერი მართლაც რომ კედელივით დგას CSC-ის მრავალრიცხოვანი მოიერიშეების წინააღმდეგ და დაცვითი ტაქტიკით ცდილობს ფონს გასვლას. ევანსმა ყვითელი მაისურა კი დაუთმო შლეკს, მაგრამ მათ შორის სხვაობა კვლავაც 8 წამი დარჩა და ავსტრალიელმა იცის, დღევანდელ ეტაპზეც თუ არ მისცემს ლუქსემბურგელს, ანუ ნებისმიერ სხვას გაქცევის საშუალებას, მერე ინდივიდუალური რბოლა იქნება და იქ ამ წამებს თავისუფლად ამოიღებს.

უფროს შლეკსა და ევანსს შორის კი კვლავაც „გეროლშტაინერის“ გერმანელი ბერნჰარდ კოლია და ეს ყველაზე საოცარი რამ გახლავთ. კოლი დიდებულად დადის მთებში — არც აღმართში უჭირს, დაშვებითაც ბრწყინვალედ ეშვება, მაგრამ ინდივიდუალურ რბოლაში მოიკოჭლებს და ძნელად, რომ ის ყვითელ მაისურაზე გაიქაჩოს.

ფრენკ შლეკი, 7 წამში კოლი, 8 წამში ევანსი; და ამათ უკან კი CSC-ის კიდევ ერთი კაპიტანი, ესპანელი კარლოს სასტრეა, ვინც თანაგუნდელთან კვლავაც 49 წამს აგებს. შემდეგ მენშოვი, ვანდეველდე (+3.15), ძველი ლიდერი კიმ კირხენი (+3.23) და ალეხანდრო ვალვერდე (+4.11) მოდიან. ვალვერდეს გუშინ დე ლა ბონეტის აღმართის ბოლო ორას მეტრზე გაუჭირდა და თითქოს ჩამორჩა CSC-ის ექსპრესს, მაგრამ დაშვებისას ივარგა, მენშოვი უკან მოიტოვა და ფინიშს ყვითელი მაისურას ჯგუფთან ერთად უწია, მაგრამ ის, რაც პირინეებში დაკარგა, ანაზღაურებას, ალბათ, აღარ ექვემდებარება.

ეს ლიდერთა შესახებ. გუშინდელი ეტაპი კი ფრანგების გასახარად AG2R-ის ლიდერმა სირილ დესელმა მოიგო, რომელმაც წამის მეათედებით აჯობა თანამემამულე სანდი კასარს, ესპანელ დავიდ არაიოს და უკრაინელ იაროსლავ პოპოვიჩს.

ეს ოთხეული და კიდევ რამდენიმე მრბოლი კარგა ხანს ეულად მავალ გერმანელ შტეფან შუმახერს დეა ლა ბონეტის 25-კილომეტრიანი აღმართის შუაწელზე დაეწივნენ. თავად უღელტეხილი, პირველმა სამხრეთ აფრიკელმა ჯონ ლუი აუგუსტინმა დალაშქრა, მაგრამ დაიწყო დაღმართი და საბრალო აფრიკელი უფსკრულში გადაეშვა. საბედნიეროდ, გადარჩა და ქომაგების დახმარებით ტრასაზეც ამობობღდა.

აი, ასეთი ამბები იყო. წინ კი კიდევ ერთი ურთულესი ეტაპია სამი უმაღლესი კატეგორიის მწვერვალით და ლეგენდარულ ალპ დუეზზე ფინიშით. ამათ მთებიც მორჩება. CSC-ის ხალხს თუ ევანსის მოტეხვა უნდა, ეს დღეს უნდა მოხერხდეს. შემდეგ ავსტრალიურ კედელს ვეღარაფერს დააკლებენ.

მე-16 ეტაპი. კუნეო (იტალია) — ჟოსიერი. 157 კმ

1. სირილ დესელი (საფრანგეთი, AG2R)	4სთ 31წთ 27წმ
2. სანდი კასარი (საფრანგეთი, „ფრანსაიზ დე ჟუ“)	იგივე დრო
3. დავიდ არაიო (ესპანეთი, „კაის დეპარნი“)	იგივე დრო
4. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, „ლოტო“)	+3წმ
5. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, „კოლუმბია“)	+24
საერთო ჩათვლა	
1. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC)	68სთ 30წთ 16წმ
2. ბერნჰარდ კოლი (გერმანია, „გეროლშტაინერი“)	+7წმ
3. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“)	+8
4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+49
5. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი“)	+1.13

ედი მერქსი ყველა აღმართში პირველი იყო

ტურ დე ფრანსის რეკორდები

„ტურ დე ფრანსის“ 105-წლიანი ისტორია უამრავ ლეგენდას თუ ერთი შეხედვით უბრალო ამბავს ინახავს. ეს ისტორია აურაცხელი ციფრით არის გაჯერებული და დღეს თქვენს სამსჯავროზე ლეგენდარული მრბოლების მიერ დამყარებული რეკორდები გამოგვაქვს.

უმთავრესი რეკორდი, რაღა თქმა უნდა, ამერიკელ ლენს არმსტრონგს ეკუთვნის — 7 ტრიუმფი და თანაც შვიდივე ზედიზედ, მაგრამ არანაკლებ შთამბეჭდავია ედი მერქსის მიერ მოგებული 34 ეტაპი და 111 დღე, რომელიც დიადმა ბელგიელმა ლიდერის ყვითელი მაისურით იარა.

თუმც, ყველაფერს თანმიმდევრობით, ციფრებით მივყვეთ. ისინი ნამდვილად არ ტყუიან.

ჩემპიონები: 7 — ლენს არმსტრონგი (აშშ); 5 — ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი), ედი მერქსი (ბელგია), ბერნან ინო (საფრანგეთი), მიგელ ინდურაინი (ესპანეთი); 3 — ფილიპ ტიისი (ბელგია), ლუსიენ ბობე (საფრანგეთი), გრეგ ლემონდი (აშშ).

რბოლაში მონაწილეობა: 16 — იოოპ ზოტემელკი (ჰოლანდია); 15 — ლუსიენ ვან იმპი (ბელგია), გაი ნიულენსი (ბელგია); 14 — რაიმონდ პულიდორი (საფრანგეთი), შონ კელი (ირლანდია), ანდრე დერიგო (საფრანგეთი).

პოდიუმი: 8 — პულიდორი (სამჯერ მეორე, ხუთჯერ მესამე); 7 — ზოტემელკი (ერთხელ პირველი, ექვსჯერ მეორე), არმსტრონგი (შვიდჯერვე პირველი), იან ულრიხი (გერმანია — ერთხელ პირველი, ხუთჯერ მეორე, ერთხელ მესამე); 6 — მერქსი (ხუთჯერ პირველი, ერთხელ მეორე), ინო (ხუთჯერ პირველი, ერთხელ მეორე).

ლიდერობის დღეები: 111 — მერქსი; 80 — არმსტრონგი; 79 ინო; 60 — ინდურაინი; 52 — ანკეტილი.

მოგებული ეტაპები: 34 — მერქსი; 28 — ინო; 25 — ანდრე ლედიუკი (საფრანგეთი); 22 — დერიგო, არმსტრონგი; 20 — ნიკოლას ფრანცი (ლუქსემბურგი).

მოგებული ინდივიდუალური რბოლები (პროლოგის ჩათვლით): 20 — ინო; 16 — მერქსი; 11 — ანკეტილი, არმსტრონგი; 10 — ინდურაინი.

წითელწინწკლებიანი მაისურა (საუკეთესო სამთო მრბოლი): 7 — ფერნანდო ბაამონტესი (ესპანეთი), რიშარ ვირანკი (საფრანგეთი); 6 — ვან იმპი.

მწვანე მაისურა (საუკეთესო სამთო მრბოლი): 6 — ერიკ ცაბელი (გერმანია); 4 — შონ კელი (ირლანდია)

თეთრი მაისურა (საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლი): 3 — ულრიხი; 2 — მარკო პანტანი (იტალია).

ყველა მაისურა ჯამში: 10 — მერქსი (5 ყვითელი, 2 წითელწინწკლებიანი, 3 მწვანე); 9 — ბაამონტესი (2 ყვითელი, 7 წითელწინწკლებიანი).

ჩემპიონები ქვეყნების მიხედვით: 36 — საფრანგეთი; 18 — ბელგია; 10 — აშშ; 9 — იტალია; 8 — ესპანეთი.

ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი: 19 წლის — ანრი კორნე (საფრანგეთი), 1904 წელს.

ყველაზე ხნიერი ჩემპიონი: 36 წლის — ფირმენ ლამბო (ბელგია), 1922 წელს.

რვაგზის პრიზიორი რაიმონდ პულიდორი ჩემპიონი ერთხელაც ვერ გახდა

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№1 საავტომობილო ზეთი

ორი ბრაზილიელი პოდიუმზე

ბედნიერი და კმაყოფილი ნელსინიო

ნელსინიო პიკე

ლუის ჰემილტონის ფანტასტიკური გამარჯვების გარდა კვირას გამართულ გერმანიის დიდ პრიზზე ერთი სხვა ღირსაღსანიშნავი ამბავიც მოხდა — პოდიუმზე „მაკლარენის“ ინგლისელ პილოტს გვერდს ორი ბრაზილიელი უმშვენებდა და ასეთი რამ პირველმა ფორმულამ 1991 წლის შემდეგ პირველად ნახა.

17 წლის წინ, 1991 წლის 25 აგვისტოს ბელგიის დიდი პრიზი ლეგენდარულმა აირტონ სენამ მოიგო, მესამე ადგილზე კი „სამეფო რბოლების“ კიდევ ერთი ლეგენდა ნელსონ პიკე გავიდა.

ბრაზილიას პირველხარისხოვანი მრბოლები არასოდეს აკლდა, მაგრამ მთელი 17 წელი დასჭირდა იმას, ორი ბრაზილიელი წყვილად რომ ასულიყო პოდიუმზე — ჰოკენჰაიმრინგზე ჰემილტონის გვერდით დიდი ნელსონ პიკეს ვაჟი, უმცროსი ნელსონ პიკე და ფელიპე მასა იდგნენ.

მასასთვის ეს 23-ე პოდიუმი იყო, ნელსინიომ კი, რომელმაც უაღრესად ჭკვიანურად იქროლა ჰოკენჰაიმრინგზე, პირველად შედგა პოდიუმზე ფეხი.

„ვულოცავ ნელსონს. ბრწყინვალე იყო, როდესაც ის პოდიუმზე დავინახე — თქვა თანამემამულის წარმატებით გახარებულმა მასამ — ჩემი პირველი პოდიუმი გამახსენდა. ესეც გერმანიაში, ნიურბურგრინგზე იყო 2006 წელს. მაშინ ბავშვივით მიხაროდა და დარწმუნებული ვარ, ნელსიონიც იგივეს განიცდის“.

„ბედნიერი და უაღრესად კმაყოფილი ვარ — ეს კი, უკვე თავად ნელსინიო პიკეს სიტყვებია — კვალიფიკაციაში ჩავარდნის შემდეგ ვფიქრობდი, რომ ჩემთვის სარბოლო უიქენდი დასრულებული იყო, მაგრამ სწორი, უაღრესად აგრესიული სტრატეგია შევარჩიეთ რბოლისთვის და თანაც, გუნდმა უსაფრთხოების მანქანას გამოჩენის შემდეგ უზუსტესი გადაწყვეტილებები მიიღო. ვიცოდი, რომ ჰემილტონი ჩემზე გაცილებით სწრაფი იყო და ამიტომაც მთელი ყურადღება დანარჩენებზე გადავიტანე, პირველი ადგილისთვის უაზრო ბრძოლას მეორე პოზიციის შენარჩუნება ვამჯობინე“.

ახლა კი „რენოს“ თავკაცს, ფლავიო ბრიატორეს მოვუსმინოთ: „ნელსინიოს ცოტათი გაუმართლა, უსაფრთხოების მანქანა რომ გამოჩნდა ტრასაზე, მაგრამ შემდეგ ის შეუდარებელი იყო. ლაპარაკი არ უნდა, „მაკლარენი“ ჩვენზე სწრაფია და ჰემილტონმა ალალად დაიმსახურა პირველობა, მაგრამ ასევე ალალი იყო მეორე ადგილი ნელსინიოსთვის“.

ძახა ლომაძე

ფერარიმ სისწრაფე დაკარგა

კიდევ ერთი მარცხი, კიდევ ერთი წარუმატებელი რბოლა „ფერარისთვის“, „სკუდერია“ პოზიციებს თმობს — ასეთია იტალიური პრესის მიერ გაკეთებული შეფასებები გერმანიის დიდ პრიზზე აპენინელთა სიამაყის მიერ ნაჩვენები შედეგების მიმართებაში.

თავად „ფერარიშიც“ არ მალავენ, რომ გაწბილებულნი არიან ჰოკენჰაიმრინგული რბოლით. „წარუმატებელი დღე იყო და ძნელია, რომ ეს უარყო — განაცხადა „სკუდერიას“ სპორტულმა დირექტორმა სტეფანო დომენიჩელიმ — მეტოქეები უფრო ძლიერები იყვნენ და ახლა სასწრაფოდ უნდა გავარკვიოთ, თუ რა იყო ამის მიზეზი. პირველად სეზონში, ჩვენი ტემპი მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდა, თანაც ეს ორივე პილოტს ეხება. მთელი რიგი პრობლემები შეგვექმნა, რომლებიც, წესით არ უნდა ყოფილიყო. ტრასაზე უსაფრთხოების მანქანის გამოჩენამ რბოლის მიმდინარეობის შეცვლის საშუალება მიგვცა, მაგრამ როდესაც სისწრაფე არ გყოფნის, ვერც კარგ შედეგს აჩვენებ. ახლა მხოლოდ ერთი ამოცანა გვაქვს — დავბრუნდეთ იმ დონეზე, რომელზეც ორიოდე ეტაპის უკან ვიყავთ“.

„ფერარის სისწრაფე მართლაც არ ჰყოფნიდა. სხვა თუ არაფერი, ლუის ჰემილტონის „მაკლარენმა“ ფელიპე მასას, როგორც ბავშვს, ისე ჩაუქროლა და ბრაზილიელს ინგლისელის წინააღმდეგ არანაირი შანსი არ ჰქონია. გარდა ამისა, იტალიური საჯინიბო კვლავ, უკვე მერამდენედ, ტაქტიკურ-სტრატეგიულადაც შეცდა, განსაკუთრებით კიმი რაიკონენთან მიმართებაში და ფინელ მსოფლიოს ჩემპიონს მე-12 პოზიციიდან მოუწია ქულათა ზონისკენ გზის გაკვალვა.

წყალი არ გაუვა, „ფერარის“ აშკარად დააკლდნენ როს ბრაუნი და ჟან ტოდტი და მათ გარეშე „სკუდერიას“ პრობლემები მოუმრავლდა.

„რთული რბოლა იყო. ჰემილტონი სტარტიდანვე ძალიან სწრაფი იყო და მივხვდი, მასთან ბრძოლა გაძნელდებოდა — განაცხადა მასამ — თანაც, ბოლოსკენ მუხრუჭების პრობლემაც შემექმნა და ამიტომაც, ვეღარც პიკეს შევუტიე. ფაქტია — ეს ის დღე იყო, როდესაც მეტოქეები ჩვენზე ძლიერები იყვნენ“.

თანაგუნდელს რაიკონენიც ეთანხმება: „ეს ნამდვილად არ იყო ის, რისი იმედიც გვქონდა. სისწრაფე გვაკლდა და ასეთ პირობებში ბრძოლა ძალიან ჭირდა. რა თქმა უნდა, ეს კრიზისი არ არის, მაგრამ ყველაფერი დეტალურად უნდა გამოვიკვლიოთ, რათა კვლავაც სწორ გზაზე დავდგეთ“.

ძახა ლომაძე



ნიკი ლაუდა: ასეთი ჰემილტონი დაუმარცხებელია

მაკლარენის გუნდური სული

გასულ სარბოლო უიქენდზე ჰოკენჰაიმრინგი „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელი პილოტის ლუის ჰემილტონის სრული ტრიუმფის მოწმე გახდა. 23 წლის ბრიტანელმა მრბოლმა გერმანიის დიდი პრიზის გათამაშებისას ორივე თავისუფალი პრაქტიკისას აჯობა მეტოქეებს, კვალიფიკაცია მოიგო და უშუალოდ რბოლისას კი ფენომენალურად იქროლა და კონკურენტები, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ნოკაუტში გაისტუმრა.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, ლეგენდარული ავსტრიელის ნიკი ლაუდას აზრით, თუ ჰემილტონი წლევანდელი საპირველფორმულო ჩემპიონატის ბოლო ორ ეტაპზე, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში ნაჩვენებ ტემპს შეინარჩუნებს, ის დაუმარცხებელი იქნება.

„ეს უდიდესი რბოლა იყო. ჰემილტონი ფანტასტიკური გახლდათ. ალალად ვამბობ, ნამდვილი სენას სტილი იყო. თუ ლუისი ასევე გაგრძელებს და არ დაუშვებს შარშანდელი სეზონის ბოლო ეტაპების მსგავს შეცდომებს, ის ჩემპიონი გახდება.

ლუისი შარშანაც ჩემი ფავორიტი იყო, მაგრამ მან ბოლო ორი ეტაპი ჩააგდო. წლეულსაც, თავიდან ის თითქოს შებორკილი ჩანდა, მაგრამ სილვერსტოუნსა და ჰოკენჰაიმრინგზე სრულად გაიხსნა. ის სწორი გზით მიდის და თუ ასე გააგრძელებს, დაუმარცხებელი იქნება“ — ბრძანა დიადმა ავსტრიელმა.

თავის მხრივ, „მაკლარენ-მერსედესის“ შეფი რონ დენისი ვერ ხედავს საიმისო მიზეზს, რომ ჰემილტონმა და მთლიანად გუნდმა აღებული ტემპი დააგდოს, თუნდაც უახლოეს, უნგრულ ეტაპზე.

„უნგრეთში ჩვენ არანაკლებ ძლიერნი ვიქნები. უბრალოდ, ვერ ვხედავ იმის შიზეზს, რომ სხვანაირად იყოს. პირიქით, ვფიქრობ რომ კიდევ უფრო მოვუმატებთ — ოპტიმისტურადაა განწყობილი დენისი და იქვე ჰოკენჰაიმრინგის ამბავსაც იხსენებს, როდესაც გუნდმა ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, რაც ჰემილტონს, კინაღამ გამარჯვების ფასად დაუჯდა — უსაფრთხოების მანქანის გამოჩენისთანავე საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე დავდექით, გამოგვეძახებინა თუ არა ლუისი ბოქსში, ვფიქრობდით, რომ ტრასას მალე გაწმენდდნენ და პეისკარი მალე დატოვებდა გზას, მაგრამ შევცდით და შედეგად, პიტ-სტოპის შემდეგ ჰემილტონი მეოთხე ადგილზე დაქვეითდა, მაგრამ მან მაინც დიდებული გამარჯვება მოიპოვა და ეს მთელი გუნდის დამსახურებაა. განსაკუთრებით ჰეიკი კოვალაინენი მინდა გამოვყო, რომელმაც არნახული გუნდური სულისკვეთება გამოამჟღავნა და მასზე სწრაფ ლუისს გზა დაუთმო. სასიამოვნოა, როდესაც ისეთი პილოტები გყავს, რომლებიც ერთმანეთს არ ებრძვიან და გუნდური წარმატებისთვის ყველაფერს აკეთებენ“.

ახლა კი თავად ჰოკენჰაიმრინგის გმირს, ლუის ჰემილტონს მოვუსმინოთ: „როდესაც რადიოთი მაცნობეს, რომ შვიდ წრეზე 23-წამიანი ჰანდიკაპი უნდა შემექმნა, მივხვდი, რომ ბოლიდი ზღვრული სიჩქარით უნდა მეტარებინა.

დარწმუნებული ვიყავი, გუნდი საუკეთესო სტრატეგიულ გადაწყვეტილებას მიიღებდა და ისიც ვიცოდი, საკმარისად სწრაფი ვიყავი საიმისოდ, მასასა და პიკესთვის რომ გამესწრო“.

ძახა ლომაძე

მიხეილ სააკაშვილს ოლიმპიური სამოსი ზაზა კედელაშვილმა და გიორგი გოგშელიძემ გადასცეს

ლუბა გოლოვინა

როცა პრეზიდენტი გაცილებს

ნებისმიერი სპორტსმენისთვის დიდი პატივია, როდესაც ოლიმპიადაზე მიმავალს ჯერ პატრიარქი დაგლოცავს, მერე ოლიმპიურ ფიცს დადებ და სახალხო არტისტები დაგილოცავენ გზას. კიდევ უფრო დიდი პატივია, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში დაგპატიჟებს და ალალად გისურვებს წარმატებას.

გუშინ ავლაბრის სამთავრობო რეზიდენციაში ერთი ასეთი იშვიათი დღე იყო. ჩვენი ოლიმპიური ნაკრები პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო, გულმხურვალე მასპინძლობასთან ერთად, მიმავალ ჩემპიონებს მილიონ ლარს დაჰპირდა. ავლაბრული რეპორტაში გუშინდელ სარბიელშიც გვქონდა, დღეს კი ამ შეხვედრის ფოტო მასალას გთავაზობთ.

გიორგი ჯანიშვილის *ფოტოები*

ჩვენი მოკრივეები: კახა ქვანია და ნიკა იზორია

პრეზიდენტი მოცურავეებთან ერთად: ანა სალნიკოვა და ირაკლი რევიშვილი

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, შაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge